vhs
DVV International

Education for Everyone. Worldwide. Lifelong.

ზრდასრულთა განათლება საქართველოში

რაოდენობრივი კვლევა

2020-2021

DIE
German Institute for Adult Education
Leibniz Centre for Lifelong Learning

CRRC GEORGIA
CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

© 2021 DVV International

DVV International არის გერმანიის
სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის (DVV)
საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი

გამოცემა მოამზადა:
DVV International საქართველო
ყიფშიძის N20, ბინა 3
0179 თბილისი
საქართველო

www.dvv-international.ge
www.dvv-international.de

სარედაქციო ჯგუფი: მაია ავრამოვსკა, ლალი სანთელაძე,
ელიზაბეთ რაიხერტი, სარა ვიდანი

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ემირ ავდაგიჩ, რამადან ალია, მაია ავრამოვსკა,
ნანა ჭაბუკიანი, ესთერ ჰაკობიან, ელიზაბეთ რაიხერტი,
ბილიანა მოისოვსკა მანოილოვა, ლალი სანთელაძე, სარა ვიდანი

პროექტის პარტნიორი:
გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი
ლაიბნიცის მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის ცენტრი
ჰაინემანშტრასე 12-14
53175 ბონი, გერმანია
German Institute for Adult Education
Leibniz Center for lifelong Learning
Heinemannstraße 12-14
53175 Bonn, Germany
www.die-bonn.de

კვლევა ჩატარდა CRRC საქართველოს მიერ
ლიზიკო ქავთარაძის ქ. 1
(ყოფილი ილია ჭავჭავაძის გამზ. N5)
სადარბაზო III-IV, პირველი სართული
0179 თბილისი, საქართველო

Cover photos: Getty Images/Ali Kahfi; Getty Images/gremlin

დიზაინი: ნათია მზექალაშვილი

ბეჭდვა: სიესტა, საქართველო

ISBN: 978-9941-8-3848-4

დაფინანსებულია: Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development

შინაარსი

წინათქმა 2

შემოკლებები 6

შემაჯამებელი დასკვნა 7

ინფორმაციაზე წვდომა 7

განათლების პროცესებსა და ტრენინგებში მონაწილეობა 7

დამოკიდებულებები ზრდასრულთა განათლების მიმართ 9

დისტანციური სწავლება 9

შესავალი 10

მეთოდოლოგია 11

მონაცემთა შეგროვება 11

მონაცემთა ანალიზი 12

შედეგები 13

რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები 13

განათლების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა 31

განათლებისა და ტრენინგის პროცესებში ჩართულობა 33

ფორმალური განათლება 33

არაფორმალური განათლება 40

ინფორმალური განათლება 50

ზრდასრულთა განათლების საკითხების აღქმები 53

სწავლა დისტანციურად COVID-19-ის პერიოდში 65

დასკვნები 74

მაია ავრამოვსკა

რეგიონული დირექტორი
სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის – DVV International-ის კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ოფისი

დოქტორი ელიზაბეთ რაიხერტი

მეცნიერ-თანამშრომელი
ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი ბონში (DIE)

დოქტორი სარა ვიდანი

პროექტის მხარდამჭერი – ჯერ ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტის სისტემისა და სტრატეგიების დეპარტამენტის უფროსის, შემდეგ კი – პოტსდამის უნივერსიტეტის შტატგარეშე პროფესორის ამპლუაში

ძვირფასო მკითხველო,

2019 წელს სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტმა (DVV International) და გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტმა ბონში (DIE) კომპლექსური რეგიონული პროექტი წამოიწყეს, რომლის მიზანიც ზრდასრულთა სწავლა-განათლების (ALE) სფეროში მიღწეული განვითარების, ასევე ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ განათლებასა და ტრენინგებში ზრდასრულთა ჩართულობის ანალიზი იყო. თვისობრივი კვლევა სომხეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, საქართველოსა და კოსოვოში ჩატარდა, ხოლო ზრდასრულთა განათლების კვლევა - სომხეთში, საქართველოსა და კოსოვოში.

კომპლექსური პროექტის მიზანი იყო ზრდასრულთა სწავლა-განათლების (ALE) სექტორის მასშტაბური ანალიზი და მონაცემების მომზადება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ზრდასრულთა სწავლა-განათლების (ALE), პროფესიული განათლებისა და სწავლების, დასაქმების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და სხვა შესაბამის სფეროებში სტრატეგიებისა და კანონმდებლობის შესაქმნელად.

თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევები და ასევე 7 ქვეყნის ანგარიში განხორციელდა და მომზადდა 2019 წლის მეორე ნახევრიდან 2021 წლის ივნისამდე პერიოდში. თავდაპირველად რაოდენობრივი კვლევის განხორციელება დაიწყო, ხოლო როდესაც მისი პირველი შედეგები შემოვიდა, ამას მოჰყვა თვისობრივი კვლევის დაწყებაც.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული სტრატეგიის შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრესის მონიტორინგი მონაცემებზე დამყარებული კვლევის საფუძველზე. აქ წარმოდგენილი ქვეყნებისათვის (სომხეთი, ბოსნია

და ჰერცეგოვინა, საქართველო და კოსოვო) წინამდებარე კვლევები სიტუაციის აღრიცხვის მნიშვნელოვან მცდელობას წარმოადგენს ზრდასრულთა სწავლა-განათლების, მისი წინაპირობებისა და სირთულეების ფართო სურათის შესაქმნელად.

ზრდასრულთა განათლების საფუძვლიანი საერთაშორისო კვლევის (AES) ფეხდაფეხ, პარტნიორებთან კოორდინირებულად და ადგილობრივი ექსპერტების ჩართვით გამოვლინდა ეროვნული თავისებურებები და ინფორმაციული საჭიროებები. სტანდარტული კითხვარებიც ადგილობრივ გარემოებებზე იქნა მორგებული და დამატებითი კითხვებით შეივსო სწავლისადმი მიდგომებისა და მოტივაციის, ასევე საგანმანათლებლო და მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ სამუშაო ბაზრის მასიური ცვლილებების პირობებში. კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით, მოკლე ვადაში დაემატა კითხვები პანდემიის დროს განათლებისა და (ციფრული) სწავლის ხელმისაწვდომობის შესახებ. კვლევის შედეგები მთელ რიგ შეკითხვებს პასუხობს და ინფორმაციას გვაწვდის ზრდასრულთა სწავლა-განათლების მოცულობისა და ხარისხის შესახებ - თუ როგორ არის გადანაწილებული სწავლა და სწავლისადმი მიდგომები ზრდასრულ მოსახლეობაში, რომელი ჯგუფებია მეტნაკლებად ჩართული, სწავლის რომელიმე კონკრეტულ ფორმებს თუ იყენებენ სხვადასხვა ჯგუფები, რა როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მაგ. სოფლად დასაქმების კონტექსტში.

ქვეყნების თვისობრივი ანგარიშები დამატებით სიღრმისეულ ცნობებს იძლევა განათლების სისტემის სპეციფიკურ ეროვნულ კონტექსტზე, ზრდასრულთა სწავლა-განათლების მდგომარეობასა და პოპულარიზაციაზე. ეს ცნობები საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა გუნდმა შეაგროვა თვისობრივი კვლევების გზით, სტანდარტული მონახაზის მიხედვით. ორივე ანგარიში ერთად შესანიშნავ საფუძველს ქმნის მონაწილე ქვეყნებისთვის ამჟამინდელი სიტუაციის შესაფასებლად განათლების პოლიტიკის მიზნების ფონზე და პოლიტიკური სტრატეგიების შესამუშავებლად ზრდასრულთა სწავლა-განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის.

რადგან კვლევები საერთო სქემის მიხედვით ჩატარდა ოთხ ქვეყანაში, მათი შედარება ასევე ქვეყნების სიტუაციის კლასიფიკაციის დამატებით შესაძლებლობებს გვთავაზობს. ვინაიდან პროექტში ჩართულ ქვეყნებში პირველად ჰქონდა ადგილი ასეთ ფართომასშტაბურ ანალიზსა და კვლევებს ზრდასრულთა სწავლა-განათლების სექტორში, დარწმუნებული ვართ, არაერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო ინსტიტუცია და ორგანიზაცია ისარგებლებს ამ კვლევებში მოცემული ინფორმაციითა და ცოდნით სომხეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, საქართველოსა და კოსოვოში და მათ ფარგლებს მიღმაც.

იმედი გვაქვს, ეს ანგარიშები შექმნის სადისკუსიო ბაზას პოლიტიკის შემდგომი განვითარებისათვის და ამით წვლილს შეიტანს ზრდასრულთა სწავლა-განათლების მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემის ფორმირებაში.

გვინდა ვისარგებლოთ შესაძლებლობით და მადლობა გადავუხადოთ პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრებს, ავტორებს და კვლევით ინსტიტუტებს პროფესიონალური და ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ბრწყინვალე შედეგებისა და მიღწევებისათვის, რომელთა დიდი ნაწილი კოვიდ 19-ის პანდემიის გამოწვევებით აღსავსე პერიოდში იქნა შესრულებული.

სასიამოვნო კითხვის პროცესს გისურვებთ!

ლალი სანთელაძე

სახალხო უნივერსიტეტთა
გერმანული ასოციაციის
საერთაშორისო თანამშრომლობის
ინსტიტუტის (DVV International)
საქართველოს ოფისის დირექტორი

საქართველოში განათლების სექტორში განხორციელებული მრავალწლიანი რეფორმებისა და არაერთი მიღწევის მიუხედავად, ზრდასრულთა განათლება კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ-განვითარებული სექტორია. ის ან კვლავაც მხედველობის მიღმა რჩება, ან კიდევ მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული განათლების კონტექსტში განიხილება, რაც ორივე შემთხვევაში აკნინებს მის ჭეშმარიტ პოტენციალს და მისი სარგებლის ხელმისაწვდომობას ზღუდავს საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და ზრდასრულთა განათლების კონცეფციებს ჯერ კიდევ გადასალახი აქვთ თაობათაშორისი საზღვრები – მათ მრავალკომპონენტიან სწავლა-განათლებას უნდა შეუწყონ ხელი. ამის ერთ-ერთი მიზეზი სანდო ინფორმაციის არარსებობა და/ან ნაკლებობაა ზრდასრულთა განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, მათ შორის: ზრდასრული მოსახლეობის ჩართულობის კოეფიციენტის, განათლებისა და უნარების, ზრდასრულთა განათლებისადმი დამოკიდებულებისა და ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ. სტატისტიკური მონაცემების სიმწირე, თავის მხრივ, აფერხებს ეროვნული სტრატეგიების განვითარებას ფაქტებზე დამყარების კუთხით ისევე, როგორც ზრდასრულთა საგანმანათლებლო შეთავაზებების ჯგუფურ ფორმატებზე მორგებას. ამის გარეშე კი პრაქტიკულად შეუძლებელია ზრდასრულთა განათლების აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება და მასშტაბური სტრატეგიების შემუშავება განათლების სექტორის ამ სეგმენტის გასაძლიერებლად. ამავე დროს, რთუ-

ლია აღნიშნული სეგმენტის სათანადოდ დაფასება და მისი, როგორც „მეოთხე სვეტის“ მნიშვნელობის აღიარება სკოლამდელ, საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებასთან ერთად.

წინამდებარე კვლევა ნაწილობრივ ავსებს ინფორმაციულ დანაკლისს და საქართველოს კონტექსტში ზრდასრულთა განათლების დეტალური შესწავლით მონაცემთა ანალიზს გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ეს რთული აღმოჩნდა ეროვნული მონიტორინგის მასშტაბური და გამჭვირვალე სისტემის არარსებობის გამო, ამ ანალიზის შედეგები შესაძლოა, დაეხმაროს საგანმანათლებლო ორგანოებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს ზრდასრულთა განათლებისთვის უკეთესი ჩარჩო-პირობების შექმნაში. საქართველო ამჟამად 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესშია. ამ უნიკალური მომენტის გამოყენებით, დოკუმენტი მიზნად ისახავს ზრდასრულთა განათლების ახალი მიდგომების განხილვას და მისი განვითარების სპეციფიკური გზების ფორმულირებას. წინამდებარე კვლევა ფასდაუდებელ ინფორმაციას სთავაზობს სამთავრობო ორგანოებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ზრდასრულთა განათლების ახალი ჩარჩო-პირობების შესაქმნელად. ამავდროულად, კვლევა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ანალიტიკოსთა, ანდრაგოგთა და სამეცნიერო წრეებისთვის, რომელთა მიზანია, წვლილი შეიტანონ ზრდასრულთა განათლების განვითარებაში.

კვლევის თანახმად, 2020 წელს ზრდასრული მოსახლეობის (18-64 წლის) 20%-ზე ნაკლებმა მიიღო ფორმალური (7%) ან არაფორმალური (13%) განათლება. ეს მნიშვნელოვნად ნაკლებია EU-27 -ის საშუალო მაჩვენებელზე (თითქმის 47%). გარდა ამისა, ინფორმალური სწავლება ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე, საშუალოდ, EU-27-ის ქვეყნებში. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ 30 წელს გადაცილებულ ადამიანებს ბევრი სხვა საქმე აქვთ გასაკეთებელი, ვიდრე სწავლის გაგრძელებაა, რაც მათ შეზღუდულ წარმოდგენას ასახავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სარგებლიანობის შესახებ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და სოფლად მცხოვრებ ადამიანებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ ზრდასრულთა განათლების პროგრამებში ჩასართავად, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი არ არის თანაბარი ხელმისაწვდომობა. რამდენადაც საქართველო კვლავაც ესწრაფვის ევროპული ღირებულებების გათავისებას, გამართლებული იქნება ამ საგანგაშო ტენდენციების საფუძვლიანი გადასინჯვა.

კვლევა მნიშვნელოვან სტატისტიკურ ჩარჩოს ქმნის ქვეყნის შიდა და რეგიონული დისკუსიების, სექტორთაშორისი თანამშრომლობისა და სტრატეგიული განხილვებისთვის, ასევე, ძალების გაერთიანებლად საქართველოში ზრდასრულთა განათლების სასიცოცხლოდ საჭირო განვითარების მისაღწევად. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოზიტიურ ცვლილებებს ადამიანური კაპიტალის მართვაში და ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის.

შემოკლებები

AE	Adult Education / ზრდასრულთა განათლება
CRRC	საქართველო კავკასიის კვლევის რესურსცენტრი საქართველო
DIE	გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი
DVV	გერმანიის ზრდასრულთა განათლების ასოციაცია

მოკლე შეჯამება

DVV International გერმანიის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის (DVV) საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტია. როგორც ზრდასრულთა განათლებისა და განვითარების თანამშრომლობის სფეროში მოღვაწე ორგანიზაცია, DVV International 50 წელზე მეტია მუშაობს ზრდასრულთა განათლებისა და უწყვეტი სწავლების მიმართულებით. ინსტიტუტი კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ისეთ ქვეყნებში მოღვაწეობს, როგორიცაა სომხეთი, საქართველო, ბოსნია და ჰერცოგოვინა და კოსოვო. ზრდასრულთა განათლების განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობს, აგრეთვე, გერმანიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი (DIE). DVV-სა და DIE-ს დაკვეთით CRRC საქართველომ ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების კვლევა ჩაატარა. წინამდებარე ანგარიში ამ კვლევის შედეგებს წარმოგვიდგენს.

კვლევის მონაცემები 2020 წლის 24 სექტემბრიდან 3 ნოემბრამდე პერიოდში შეგროვდა. მონაცემთა შეგროვებისთვის სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის მეთოდია გამოყენებული. კვლევის სტრატიფიკაცია დასახლების ტიპისა და ეთნიკური კომპოზიციის მიხედვით მოხდა. სტრატა მოიცავს დედაქალაქს, სხვა ქალაქებსა და სოფლებს და, უპირატესად, უმცირესობათა დასახლებებს. კვლევა 4294 რესპონდენტის ინტერვიუს (ასაკი 18-64 წელი) ეყრდნობა, ცდომილების საერთო ზღვარი 1,4%, ხოლო რეაგირების მაჩვენებელი 35% შეადგენს.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები საქართველოში ზრდასრულთა განათლების შესახებ ფართო სპექტრის დასკვნებს იძლევა. ძირითადი დასკვნები მოცემულია ქვემოთ, თემატურ ჭრილში.

ინფორმაციაზე წვდომა

კვლევის ჩატარების წინა წელს, საქართველოს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილმა მოიძია ინფორმაცია განათლების სფეროში არსებულ შესაძლებლობებზე. მათ შორის, ვინც ინფორმაცია მოიძია, უმეტესობამ იპოვნა ის, რასაც ეძებდა. ყველაზე ხშირად კი ინფორმაციას თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები, ქალები, ეთნიკური ქართველები და სამუშაო ძალის მიღმა მყოფები ეძებდნენ.

ინფორმაციის ძირითადი წყარო სოციალური მედია და ინტერნეტი იყო. ეს გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ ზრდასრულთა განათლების საპრომოციო აქტივობებისთვის ონლაინ სივრცე ერთ-ერთი საუკეთესო არხია, რადგან ადამიანები განათლების სფეროში არსებულ შესაძლებლობებზე ინფორმაციას, პირველ რიგში, სწორედ ამ სივრცეში ეძებენ.

ასევე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფორმაციაზე წვდომა პრობლემას არ წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 17%-მა აღნიშნა საგანმანათლებლო აქტივობებზე ინფორმაციის ძიების შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ინფორმაციაზე მოთხოვნა დაბალია. აღნიშნულ მიგნებებზე დაყრდნობით შემდეგი რეკომენდაციები განისაზღვრა:

- ზრდასრულთა განათლებაზე ინფორმაციის მისაწოდებლად რეკომენდებულია ონლაინ არხების გამოყენება;
- საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა ზრდასრულთა განათლებაზე მოთხოვნის გასაზრდელად, ვიდრე ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება.

საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და ტრენინგებში მონაწილეობა

ფორმალურ განათლებაში შედარებით ნაკლები ადამიანი იყო ჩართული (18-64 წლის ასაკის მოსახლეობის 7%). როდესაც კითხვა ეხება ფორმალურ განათლებაში არ ჩართვის მიზეზს, მონაცემები ცხადყოფს – ადამიანებს მიაჩნიათ, რომ

ფორმალური კვალიფიკაცია არც პირადი და არც პროფესიული მიზნებისთვის არ სჭირდებათ. ოჯახური ვალდებულებები, ასევე, დასახელდა ფორმალური განათლების პროცესებში არ ჩართვის ერთ-ერთ საკვანძო მიზეზად.

უფრო მეტი ადამიანი, თუმცა მაინც მცირე რაოდენობა (13%), ჩართული იყო არაფორმალური განათლების პროცესში. არაფორმალურ განათლებაში ჩართულები უფრო ახალგაზრდები და მაღალკვალიფიციურ, „თეთრსაყელოიან“ პოზიციებზე დასაქმებულები იყვნენ. ამ კუთხით, შესაძლოა, გასაკვირი აღარ იყოს, რომ არაფორმალური განათლების შემთხვევათა დაახლოებით ნახევარი სამსახურთან იყო დაკავშირებული – რესპონდენტებმა არაფორმალური განათლების პროცესში ჩართვისთვის მთავარ მიზეზად პროფესიული ასპექტები დაასახელეს; აგრეთვე, აღნიშნეს, რომ არაფორმალური განათლება მათ სამსახურთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებში დაეხმარა.

რესპონდენტებმა არაფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობის არ მიღების მიზეზებად თითქმის იგივე დაასახელეს, რაც ფორმალური განათლების შემთხვევაში: უმეტესობა ამბობს, რომ არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართვა არ სჭირდებათ არც პროფესიული და არც პირადი მიზნებისთვის; ან, აქვთ ოჯახური ვალდებულებები, რომლებიც ხელს უშლის მათ არაფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობაში.

ფორმალური და არაფორმალური განათლებისგან განსხვავებით, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ინფორმალური განათლების პროცესში (46%) მონაწილეობდა. ინფორმალური და ფორმალური განათლებაც ყველაზე დამახასიათებელი ახალგაზრდებისთვის იყო. ინფორმალური განათლების მიღება, ძირითადად, კომპიუტერის გამოყენებითა და ოჯახის წევრებთან ერთად, ან მათი მეშვეობით ხდება.

თუ ინფორმალური განათლების შედარებით პოპულარობას გავითვალისწინებთ, შეიძლება, მიზანშეწონილად მივიჩნიოთ, რომ ზრდასრულთა განათლების წილის ზრდისთვის მიმართული ღონისძიებები სწორედ ინფორმალური განათლების ნაწილში გაძლიერდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანები ინფორმაციას განათლების შესახებ მეტწილად ონლაინ ეძებენ. ონლაინ ინფორმალური განათლების მეტი შესაძლებლობის შექმნამ, შეიძლება, დიდი ზრდა და ჩართულობა გამოიწვიოს. ამ ჭრილში რეკომენდებულია:

ზრდასრულთა განათლების წახალისებისთვის ძალისხმევა ციფრული განათლების მიწოდებაზე კონცენტრირდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება უფრო ჩართულია ინფორმალური განათლების პროცესებში, ყველაზე მაღალი ნდობა მაინც ფორმალური განათლების მიმართ არსებობს. ამ კუთხით, არაფორმალური განათლების აქტივობებისთვის ერთგვარი ფორმალური იერსახის მიცემამ, შეიძლება, წაახალისოს და გაზარდოს ჩართულობა (მაგალითად, დასრულების სერტიფიკატის გაცემა). ამ მხრივ რეკომენდებულია:

ზრდასრულთა განათლების წახალისების მიზნით, არაფორმალური განათლების აქტივობებში გათვალისწინებული იყოს მიღწევის აღმნიშვნელი ფორმალური ელემენტები – მაგალითად, დასრულების სერტიფიკატი.

დამოკიდებულებები ზრდასრულთა განათლების მიმართ

ზემოთ მოყვანილი დასკვნები გვაჩვენებს, რომ ზრდასრულთა განათლების პროცესებში უფრო ახალგაზრდა მოსახლეობაა ჩართული. ქცევის ეს ნიმუში ზრდასრულთა განათლების აღქმასა და მის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს შეესაბამება. გამოკითხულთა უმეტესობის თქმით, ახალგაზრებს უფრო უმარტივდებათ ახალი უნარების შეძენა; რომ 30 წლამდე ასაკის ადამიანები უფრო დაინტერესებული არიან სწავლით; და რომ 30 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს ბევრი სხვა მოვალეობა აქვთ საიმისოდ, რომ დამატებით განათლების გაგრძელება შეძლონ. თითქმის ნახევარი ეთანხმება იმ აზრს, რომ 30 წლის შემდეგ სწავლა რთულია.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია და ქცევის ნიმუში ორ გზას იძლევა ზრდასრულთა განათლების გაფართოებისთვის: **პირველი** – ზრდასრულთა განათლების განვითარების ძალისხმევა იმ მოსახლეობაზე უნდა ფოკუსირდეს, რომელიც ყველაზე მეტი ალბათობით დაინტერესდება ზრდასრულთა განათლებით – ესენი არიან ახალგაზრდები. ეს იქნება ყველაზე მარტივი გზა ზრდასრულთა განათლებაში ჩართულ ადამიანთა რაოდენობის გასაზრდელად. მოთხოვნა მოსახლეობის ამ სეგმენტში არსებობს და ეს სეგმენტი, დიდი ალბათობით, ჩაერთვება კიდეც პროცესში.

მეორე – ზრდასრულთა განათლების სარგებლის წარმოჩენა, პრომოცია უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობაში – ზემოთ მოცემული აღქმის შეცვლის მიზნით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი მიმართულება ერთმანეთს არ გამორიცხავს და შეიძლება, ერთდროულად განხორციელდეს.

მოსახლეობა ზრდასრულთა განათლებას ხშირად პროფესიულ განათლებადაც აღიქვამს და უმეტესობა ფიქრობს, რომ ზრდასრულთა განათლება სასარგებლოა მათთვის, ვინც ელექტრიკოსად ან სანტექნიკოსად მუშაობს. იმის გათვალისწინებით, რომ ზრდასრულთა განათლება საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს – კომპიუტერული პროგრამირებით დაწყებული, რისკების მართვით დამთავრებული – ზრდასრულთა განათლების განვითარებისთვის ძალისხმევა ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობების ფართო სპექტრზე უნდა მივმართოთ. ამან, შეიძლება, ხელი შეუწყოს ცვლილებას უფრო ასაკიანი მოსახლეობის აღქმაში, კერძოდ, მათში, ვინც ნაკლებადაა ჩართული და მიდრეკილი იფიქროს, რომ ზრდასრულთა განათლება 30 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობისთვისაც შესაფერისია.

მოსახლეობა არ ფიქრობს, რომ ზრდასრულთა განათლება უფრო მდიდრებისთვისაა ან მათთვის, ვისაც არასამთავრობო სექტორთან აქვს შეხება. ამ კუთხით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზრდასრულთა განათლების განვითარება ამ ფაქტორებმა შეაფერხოს.

როდესაც ვეხებით იმას, თუ ვინაა პასუხისმგებელი ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობებზე, მოსახლეობას მიაჩნია, რომ პასუხისმგებელი ზრდასრულთა განათლების თითქმის ყველა ასპექტზე არის სახელმწიფო – დაწყებული ტრენინგის საჭიროებების იდენტიფიკაციითა და დასრულებული შესაბამისი დასაქმებით. შედარებით მცირე ნაწილი, ასევე, ფიქრობს, რომ პასუხისმგებლობის გარკვეული წილი აქვს დამსაქმებელსაც.

დისტანციური სწავლება

პანდემიის პირობებში, მსოფლიოში განათლების ბევრი პროცესი სწავლების დისტანციურ, ონლაინ ფორმატზე გადავიდა. ამ კვლევის მონაცემებიც ქცევის მსგავს ნიმუშზე მიუთითებს. 18-64 წლის მოსახლეობის 11% აღნიშნავს, რომ მონაწილეობა მიიღო რაიმე სახის ონლაინ განათლების პროცესში. მათი უმეტესობა, ვინც მონაწილეობა მიიღო, ამბობს, რომ ეს იყო ფორმალური აქტივობა, რომელიც თავდაპირველად პირისპირ ფორმატით დაიგეგმა. დისტანციური სწავლების უპირატესობად ადამიანები გადაადგილებაზე დროისა და ამასთან დაკავშირებული ხარჯების დაზოგვას ასახელებენ, მთავარ ნაკლად კი ინსტრუქტორთან ურთიერთობის სირთულე და პრაქტიკული აქტივობები დასახელდა.

შესავალი

DVV International ზრდასრულთა განათლებისა და განვითარების დარგში მოღვაწე გლობალური ორგანიზაციაა, ხოლო DIE ზრდასრულთა განათლებისა და უწყვეტი სწავლების სფეროში მოქმედი კვლევითი ორგანიზაცია. DVV International-ის და DIE-ს მხარდაჭერით სომხეთში, საქართველოსა და კოსოვოში ზრდასრულთა განათლების შესახებ ნაკლული მონაცემების შესავსებად ზრდასულთა განათლების კვლევა ჩატარდა. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს DVV International-ის ადვოკატირების აქტივობებს და ზრდასრულთა განათლების განვითარების ძალისხმევას სომხეთში, საქართველოსა და კოსოვოში. საქართველოში საველე სამუშაოებს DVV International-ის და DIE-ს კონტრაქტორი – CRRC საქართველო ახორციელებდა. წინამდებარე ანგარიში საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებს წარმოგვიდგენს.

DVV-ის და DIE-ს მიზნების გათვალისწინებით, მონაცემთა შეგროვებისას ყურადღება შემდეგ საკითხებზე გამახვილდა:

- **წინასაპენსიო ასაკის ზრდასრული მოსახლეობის განათლება და უნარები;**
- **ზრდასრულთა განათლებასთან და საგანმანათლებლო შესაძლებლობებთან დაკავშირებული აღქმები;**
- **განათლებისა და სწავლების სხვადასხვა ფორმებში მონაწილეობა;**
- **დისტანციური სწავლება COVID-19-ის დროს.**

ამ საკითხებზე პასუხების მისაღებად ზრდასრულთა განათლების კვლევამ ევროპის ზრდასრულთა განათლების კვლევის (European Adult Education Survey -AES) კითხვარი გამოიყენა და კონტექსტიდან გამომდინარე, მისი მცირედი მოდიფიცირება მოახდინა. კვლევა 2020 წლის 24 სექტემბრიდან 3 ნოემბრამდე პერიოდში ჩატარდა. მას წარმომადგენლობითი ხასიათი აქვს როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, აგრეთვე თბილისისთვის, სხვა ქალაქებისა და სოფლის, მეტწილად, უმცირესობათა დასახლებებისთვის. ჯამში, კვლევაში 4294 რესპონდენტი გამოიკითხა, ცდომილების საერთო ზღვარმა 1.4%, ხოლო რეაგირების მაჩვენებელმა 35% შეადგინა.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია:

მომდევნო თავში მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია, შემდგომ კი წარმოდგენილია კვლევის შედეგები. შედეგების ნაწილი ჩაშლილია ხუთ თავად, რომლებიც მოიცავს რესპონდენტთა სოციალურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებს, განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას, განათლების სხვადასხვა აქტივობებში და ტრენინგებში მონაწილეობას, ზრდასრულთა განათლების საკითხების აღქმას და დისტანციური სწავლების საკითხებს COVID-19-ის დროს. ანგარიშის დასასრულს მოცემულია დასკვნები. კვლევის კითხვარის ნახვა შეგიძლიათ CRRC საქართველოს მონაცემთა ანალიზის ონლაინ პორტალზე: caucasusbarometer.org

მეთოდოლოგია

კვლევა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს დაეფუძნა. ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია მონაცემების შეგროვების მიმოხილვა, მათ შორის კითხვარის შემუშავების, შერჩევისა და გამოკითხვის ჩატარების მიდგომები, აგრეთვე, მონაცემთა ანალიზის პრინციპები. ანგარიშში მოცემული შედეგები შეწონილ მონაცემებს ეფუძნება.

მონაცემთა შეგროვება

კვლევის კითხვარი ევროპის ზრდასრულთა განათლების კვლევის კითხვარზე დაყრდნობით შედგა. დამატებითი შეკითხვები საქართველოს სპეციფიკისა და COVID-19-ით გამოწვეული კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე განისაზღვრა. კვლევის საბოლოო კითხვარი შემდეგ თემებზე მოიცავს შეკითხვებს:

- დასაქმება;
- დემოგრაფია;
- მიგრაციის ისტორია;
- განათლება და ტრენინგი, მათ შორის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური განათლება;
- სწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა;
- საგანმანათლებლო და ტრენინგ აქტივობებში მონაწილეობა;
- ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობების აღქმა;
- დისტანციური სწავლება COVID-19 დროს.

რეპრეზენტატული მონაცემების შესაგროვებლად CRRC საქართველომ სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევის მეთოდს მიმართა. პირველადი შერჩევის ერთეულად საარჩევნო უბნებია გამოყენებული, ხოლო მეორადი შერჩევის ერთეულად – შინამეურნეობები. შინამეურნეობების დასაჯგუფებლად კვლევამ შემთხვევითი ვიზიტის მეთოდი აირჩია, რესპონდენტები კი კიშის ცხრილის მიხედვით შეარჩია.

კვლევაში გამოკითხულთა ასაკი 18-64 წელია. კვლევის სტრატიფიკაცია დასახლების ტიპისა და ეთნიკური კომპოზიციის მიხედვით მოხდა. სტრატა მოიცავს დედაქალაქს, სხვა ურბანულ დასახლებებს, სოფლებს და განსაკუთრებით, უმცირესობათა დასახლებებს. კვლევაში 4294 რესპონდენტი გამოიკითხა, ცდომილების საერთო ზღვარმა 1.4%, ხოლო გამოხმაურების მაჩვენებელმა 35% შეადგინა. გამოკითხვა 2020 წლის 24 სექტემბრიდან 3 ნოემბრის პერიოდში ჩატარდა. გამოკითხვის მახასიათებლები თითოეული სტრატასთვის მოცემულია ქვემოთ.

სურათი 1:

გამოკითხვის მახასიათებლები

სტრატა	შერჩეული პოპულაცია	მიღწეული შერჩევის ზომა	გამოპასუხების მაჩვენებელი
სულ	14460	4294	35%
დედაქალაქი	6000	666	12%
ქალაქი	3000	1315	48%
სოფელი	3480	1733	58%
უმცირესობები	1980	582	52%

მონაცემთა ანალიზი

კვლევაში, ძირითადად, აღწერითი სტატისტიკაა გამოყენებული, მათ შორის სიხშირეები და კროსტაბულაციები. სიხშირეები სიტუაციას აღწერს ქვეყნის მასშტაბით, ხოლო კროსტაბულაციით მონაცემთა ჩაშლა ხდება სხვადასხვა ჯგუფებისთვის. წინამდებარე ანგარიშში კროსტაბლაციები მოცემულია შემდეგი ცვლადებისთვის:

- ეთნიკური მახასიათებელი (წარმოადგენს თუ არა ეთნიკურ უმცირესობას);
- დასახლების ტიპი (დედაქალაქი, სხვა ქალაქი, სოფელი);
- ასაკობრივი ჯგუფი (18-24; 25-44; 45-64);
- მიგრაციის ისტორია (ცხოვრობდა თუ არა სხვა ქვეყანაში);
- შემოსავალი (თვეში 300 ევროზე მეტი ან ნაკლები);
- განათლების დონე (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი);
- სქესი (ქალი, კაცი)

ზემოთ მოცემული ჯგუფების გადანაწილება ნაჩვენებია ცხრილში, ქვემოთ:

სურათი 2:

შერჩევის ზომა ჯგუფების მიხედვით

ცვლადი	კატეგორია	შერჩევის ზომა
სქესი	კაცი	1626
	ქალი	2668
ასაკობრივი ჯგუფი	18-24	431
	25-44	1773
	45-64	2090
შემოსავალი	248 ევროზე ნაკლები	2296
	249 ევროზე მეტი	733
ეთნიკური მახასიათებელი	ეთნიკურად ქართველი	3642
	ეთნიკური უმცირესობა	652
მიგრაციის ისტორია	არასდროს ყოფილა მიგრაციაში	3692
	იყო მიგრაციაში	601
განათლების დონე	ზოგადი	1930
	პროფესიული	1068
	უმაღლესი	1284
დასახლების ტიპი	დედაქალაქი	664
	სხვა ქალაქები	1422
	სოფელი	2208
დასაქმების სტატუსი	სამუშაო ძალის მიღმა	259
	უმუშევარი	2378
	დასაქმებული	1649

შედეგები

ანგარიშის ეს ნაწილი კვლევის შედეგებს წარმოგვიდგენს. ჯერ აღწერილია რესპონდენტების დემოგრაფიული მახასიათებლები, შემდეგ კი მოცემულია დასკვნები მიგრაციისა და განათლების მიღწევების შესახებ. ამას მოსდევს ინფორმაცია განათლების პროცესებში და ტრენინგებში რესპონდენტთა მონაწილეობის შესახებ. შემდეგი ნაწილი ზრდასრულთა სწავლების აღქმებთან დაკავშირებულ მიგნებებს გვაცნობს, ხოლო ბოლო სექცია ინფორმაციას COVID-19-ის კონტექსტში მიმდინარე ონლაინ სწავლების შესახებ გვაწვდის.

რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები

ეს თავი რესპონდენტთა დემოგრაფიულ მახასიათებლებსა და შემდეგი ცვლადების შეწონილ განაწილებას წარმოგვიდგენს: სქესი, ასაკი, განათლების დონე, ეთნიკური კუთვნილება, მიგრაციის სტატუსი, შემოსავლის დონე, დასახლების ტიპი, ენების ცოდნა და დასაქმების სტატუსი.

გამოკითხულთა 53% ქალი, ხოლო 47% კაცია. რესპონდენტთა საშუალო ასაკი 43.7 წელია, მედიანა – 44. ასაკობრივ ჭრილში მონაცემები სამ კატეგორიად დაჯგუფდა – 18-24, 25-44, 45-64 წელი. რესპონდენტთა საერთო რაოდენობაში 18-24 წლის ასაკობრივი კატეგორიის წილი 15%, 25-44 წლის ასაკობრივი კატეგორიის წილი – 45%, ხოლო 45-64 წლის ასაკობრივი კატეგორიის წილი 40%-ია.

რესპონდენტთა 26% თბილისში ცხოვრობს, 29% სხვა ქალაქებში, ხოლო 44% – სოფლად. ჯამში, რესპონდენტთა 88% ეთნიკური ქართველი, ხოლო 12% ეთნიკური არაქართველია, მათ შორის: 4% სომეხი, 7% აზერბაიჯანელი, და 1% სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი. იქიდან გამომდინარე, რომ გამოკითხულთა მთლიან რაოდენობაში ცალკეული ეთნიკური უმცირესობების წილი შედარებით მცირეა, ამ ანგარიშში ეთნიკური უმცირესობების შესახებ მონაცემები მოცემულია გაერთიანებული ფორმით.

კვლევაში, ასევე, დაისვა შეკითხვა მოქალაქეობის შესახებ: რესპონდენტთა 99.6% საქართველოს მოქალაქეა, 0,3% – სხვა ქვეყნის მოქალაქე; ორმაგი მოქალაქეობით წარმოდგენილი იყო თითქმის 0%, რესპონდენტთა 99% დაბადებულია საქართველოში, ხოლო 1% – სხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება მიგრაციის სტატუსს – რესპონდენტთა 15%-მა აღნიშნა, რომ სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა ექვსი თვის ან მეტის მანძილზე;[1] კაცები (21%) უფრო ხშირად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ვიდრე ქალები (9%). საშუალო და მაღალი ასაკობრივი კატეგორია უფრო ხშირად ასახელებს, რომ ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ვიდრე ახალგაზრდები (18-24: 7%, 25-44: 17%, 45-64: 15%). თბილისის (16%), სხვა ურბანული დასახლებების (15%) და სოფლის მაცხოვრებლების (14%) თითქმის ერთნაირი წილი ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ეთნიკურ უმცირესობათა უფრო დიდმა ნაწილმა (19%) აღნიშნა, რომ ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ვიდრე ეთნიკურმა ქართველებმა (14%).

[1] როგორც ამ წინადადებაშია აღნიშნული, მიგრაციის გამოცდილების მქონედ წინამდებარე კვლევაში ის რესპონდენტები იგულისხმებიან, ვინც ქვეყნის გარეთ 6 ან მეტი თვის მანძილზე ცხოვრობდა.

სურათი 3:

მიგრაციის სტატუსი სოციალურ და დემოგრაფიულ ჭრილში



კვლევაში, ასევე, დაისვა შეკითხვა მიგრაციიდან დაბრუნების მიზეზებზე. შედეგების მიხედვით, უმთავრეს მიზეზებად რესპონდენტები ასახელებდნენ ოჯახთან დაკავშირებულ საკითხებს (68%), ქორწინებას/ოჯახის გაერთიანებას (6%), სხვა ქვეყანაში ინტეგრაციის სირთულეს (5%) და შრომის ნებართვის ვადის გასვლას (5%). სხვა დანარჩენი მიზეზები რესპონდენტთა 5%- ზე ნაკლებმა დაასახელა.

სურათი 4:

მიგრაციიდან დაბრუნების მიზეზები



იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც მიგრაციიდან დაბრუნების მიზეზად ოჯახური საკითხები დაასახელეს, ოდნავ უფრო მეტი ქალია (71%), ვიდრე კაცი (67%). ოჯახური საკითხები უფრო ხშირად დაასახელეს მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა (18-24 – 55%; 24-44 – 68%; 45-64 – 71%). ოჯახური საკითხები ეთნიკურ უმცირესობებში უფრო ხშირად დასახელდა მიზეზად (85%), ვიდრე ეთნიკურ ქართველებში (65%). დედაქალაქის მაცხოვრებლებმა ოჯახური საკითხები უფრო იშვიათად აღნიშნეს (55%), ვიდრე სოფლისა (72%) და სხვა ქალაქების მაცხოვრებლებმა (74%).

სურათი 5:

მიგრაციის მიზეზები სოციალურ და დემოგრაფიულ ჭრილში



კვლევამ მიგრაციის გეგმებთან დაკავშირებითაც დასვა შეკითხვა. მონაცემების თანახმად, რესპონდენტთა 11%-ს მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე უცხოეთში ცხოვრება და/ან მუშაობა აქვს განზრახული. სხვა ჯგუფებთან შედარებით, ამ განზრახვას უფრო ხშირად ახალგაზრდები 18-24 (21%), კაცები (15%), დედაქალაქის (15%) და სხვა ქალაქების მაცხოვრებლები (14%) ასახელებენ.

სურათი 6:

მიგრაციის განზრახვა სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



როდესაც მიგრაციის მიზეზებს ვეხებით, კვლევა შემდეგ პასუხებს იძლევა: „სამსახურის პოვნა იქ უფრო ადვილია“ (51%); „ანაზღაურება მეტია“ (50%); და „სამუშაო პირობები უკეთესია“ (36%). კაცები უფრო ხშირად ასახელებენ მიზეზად იმას, რომ „იქ სამსახურის პოვნა უფრო იოლია“ (58%), ვიდრე ქალები (49%). ეთნიკური უმცირესობები (66%) და 25-44 წლის ასაკის რესპონდენტები (61%), ასევე, უფრო ხშირად ასახელებენ ამ მიზეზს, ვიდრე ეთნიკური ქართველები (54%), 18-24 წლის (45%) და 45-64 წლის (54%) ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები.

სურათი 7:

მიგრაციის მიზეზები „სამუშაოს პოვნა იქ უფრო იოლია“ სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში



მეორე პასუხი – „ანაზღაურება იქ მეტია“ – უფრო ხშირად დაასახელეს კაცებმა (57%), ვიდრე ქალებმა (39%). ეთნიკურმა ქართველებმა (50%) და ეთნიკურმა უმცირესობებმა (50%) ეს მიზეზი თანაბარი პროცენტულობით აღნიშნეს. იგივე მიზეზი უფრო ხშირად დაასახელეს (61%) მაღალი ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლებმა (45-64), ვიდრე ახალგაზრდებმა. სოფლის მაცხოვრებლებმა კი გაცილებით უფრო მეტჯერ აღნიშნეს ეს მიზეზი (63%), ვიდრე თბილისისა (45%) და სხვა ქალაქების მაცხოვრებლებმა (44%).

სურათი 8:

მიგრაციის მიზეზები – „ანაზღაურება იქ მეტია“, სოციალურ და დემოგრაფიულ ჭრილში

რატომ ისურვებდით სხვა ქვეყანაში ცხოვრებას და/ან მუშაობას?
„ანაზღაურება იქ მეტია“ – სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით (%)
n = 379



მესამე მიზეზი „იქ უკეთესი სამუშაო პირობებია“, ასევე, უფრო ხშირად დაასახელეს კაცებმა (43%), ვიდრე ქალებმა (24%); ეთნიკურმა ქართველებმაც (37%) უფრო ხშირად მოიყვანეს ეს მიზეზი, ვიდრე ეთნიკურმა უმცირესობებმა. ასაკობრივ კატეგორიებში აღნიშნული საკითხი დაახლოებით თანაბარი პროცენტულობით გადანაწილდა, დედაქალაქის მაცხოვრებლები კი უფრო იშვიათად ასახელებდნენ იგივე მიზეზს (30%), ვიდრე სხვა ქალაქებისა (36%) და სოფლის მცხოვრებნი (42%).

სურათი 9:

მიგრაციის მიზეზები – „იქ უკეთესი სამუშაო პირობებია“ , სოციალურ და დემოგრაფიულ ჭრილში



კვლევა განათლების დონის შესახებაც მოიცავდა შეკითხვას. საგანმანათლებლო მიღწევების საერთო გადანაწილება ნაჩვენებია ქვედა სურათზე. განათლების ზოგიერთ დონეზე შერჩევის ზომა მცირე იყო, ამიტომ, ანგარიშში მონაცემები მოცემულია შემდეგი ჯგუფებისთვის: ზოგადი განათლება ან ზოგად განათლებაზე უფრო დაბალი სტატუსი (44%), ზოგადი ტექნიკური განათლება (24%) და ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი სტატუსი (32%).[2]

სურათი 10:
საგანმანათლებლო მიღწევა



[2] მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც წესი, იგულისხმება პროფესიული ტიპის 2 წლამდე ვადის პროგრამები, როგორიცაა, მაგალითად, ექთნის ასისტენტის სერტიფიკატი ან მეტყევეობის 2 წლიანი პროგრამა.

საგანმანათლებლო მიღწევების შესახებ მონაცემების სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლებით ჩაშლისას განსხვავებების მთელი რიგი გამოიკვეთა, კერძოდ: ქალებს უფრო ხშირად აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება (35%), ვიდრე კაცებს (29%); 25-44 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მყოფებს (38%) უფრო მაღალი დონის საგანმანათლებლო მიღწევები აქვთ, ვიდრე უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს (32%) და ახალგაზრდებს 18-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში (13%); თბილისში (50%) და სხვა ქალაქებში მცხოვრებთ (35%) უფრო ხშირად აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება, ვიდრე სოფლის მაცხოვრებლებს (22%); ეთნიკურ უმცირესობებში უმაღლესი განათლების მქონეთა წილი უფრო დაბალია (11%), ვიდრე ეთნიკურ ქართველებში (35%); ხოლო მათ, ვისაც მიგრაციის გამოცდილება აქვს, უფრო ხშირად უფიქსირდებათ უფრო მაღალი დონის განათლება (40%), ვიდრე მათ, ვინც მიგრაციაში არ ყოფილა (31%).

სურათი 11:

საგანმანათლებლო მიღწევები სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში



რაც შეეხება დასაქმებას, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 32% დასაქმებულია სრული განაკვეთით, 9% არასრული განაკვეთით, 4% განათლების მიღების პროცესშია, 52% უმუშევარია, ხოლო 3% – არააქტიური. თითოეულ ჯგუფში პროცენტული მაჩვენებლების შედარებითი სიმცირის გამო, სრულ და ნაწილობრივ განაკვეთზე დასაქმებულები ერთ ჯგუფადაა მოცემული. არააქტიური ინდივიდები და სტუდენტები, ასევე, ერთ ჯგუფშია ჩათვლილი (სამუშაო ძალის მიღმა მყოფნი). უმუშევრები კი ცალკე ჯგუფად განიხილება.

სურათი 12: დასაქმება



ზემოთ მოცემული მონაცემების სოციალურ და დემოგრაფიულ ჭრილში დამუშავებისას, ვხედავთ, რომ არის ჯგუფები, რომლებიც ამა თუ იმ კატეგორიაში მეტი ან ნაკლები ალბათობით გვხვდება. ქალები (8%) უფრო ხშირად გვხვდებიან არააქტიურ ჯგუფში, ვიდრე კაცები (5%); ქალები (58%) უფრო ხშირად ასახელებენ, რომ არიან უმუშევრები, ვიდრე კაცები (46%); დასაქმება უფრო ხშირია კაცებში, ვიდრე ქალებში; ახალგაზრდები 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში (24%) უფრო იშვიათად არიან დასაქმებული, ვიდრე 25-44 წლის (45%) და 45-64 წლის (43%) ასაკობრივი ჯგუფები; ეთნიკურ უმცირესობებში უფრო ხშირია უმუშევრობა (76%), ვიდრე ეთნიკურ ქართველებში (49%); სოფლად მცხოვრებნი (58%) უფრო ხშირად არიან უმუშევრები, ვიდრე თბილისისა (49%) და სხვა ქალაქების მაცხოვრებლები (46%).

სურათი 13:

დასაქმების სტატუსი სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში



კვლევაში, ასევე, დაისვა შეკითხვა ISCO 08 დასაქმების კატეგორიების შესახებ ორთანრიგიან დონეზე. ორთანრიგიანი გადანაწილება მოცემულია სურათზე ქვემოთ, იქვეა ნაჩვენები მსხვილი, ერთთანრიგიანი კატეგორიების წილები. ერთ და ორ თანრიგიან ჭრაში შერჩევის მცირე ზომის გათვალისწინებით, მონაცემები გაერთიანებულია პროფესიული უნარების ოთხ ძირითად დონედ (ISCO კოდები 1,2,3: მაღალკვალიფიციური „თეთრსაყელოიანი"; ISCO კოდები 4,5: დაბალკვალიფიციური „თეთრსაყელოიანი"; ISCO კოდები 6,7: მაღალკვალიფიციური „ლურჯსაყელოიანი"; ISCO კოდები 8,9: დაბალკვალიფიციური „ლურჯსაყელოიანი").[3]

სურათი 14:

დასაქმების კატეგორიები



[3] ევროპის ფონდი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის, 2010. ხელმისაწვდომია ამ მისამართზე: https://www.eurofound.europa.eu/surveys/ewcs/2005/classification

სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით დასაქმების მონაცემების ჩაშლისას რიგ სხვაობებს ვაწყდებით დასაქმების სტატუსში. დასაქმებულთა შორის ქალებსა და ქალაქების მაცხოვრებლებს უფრო ხშირად აქვთ დასაქმების მაღალი სტატუსი, ვიდრე კაცებს და სოფლის მაცხოვრებლებს.

სურათი 15:

დასაქმების კატეგორიები სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში



შემოსავალთან დაკავშირებული მონაცემები გვაჩვენებს, რომ შინამეურნეობების (ერთჭერქვეშ მცხოვრებთა) უმეტესობის თვიური შემოსავალი 380 ლარიდან 620 ლარამდე მერყეობს (21%)[4]. შემდეგი მსხვილი კატეგორიაა – 380 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონენი (20%), რასაც მოსდევს 621 – 945 ლარის შემოსავლისა (16%) და 946 – 1479 ლარის შემოსავლის მქონეთა კატეგორია (13%). შინამეურნეობების შედარებით მცირე რაოდენობის შემოსავალი აღემატება თვეში 1480 ლარს (9%). შედარებით მაღალშემოსავლიან ჯგუფებში რესპონდენტთა მცირე წილის გამო, ამ ანგარიშში შემოსავლების მიხედვით ოჯახები დაჯგუფებულია ორ კატეგორიად – ისინი, ვისი თვიური შემოსავალი 946 ლარზე ნაკლებია და ისინი, ვისი თვიური შემოსავალიც 946 ლარზე მეტია.

როდესაც შემოსავალზე არსებულ ინფორმაციას სხვადასხვა სოციალურ და დემოგრაფიული ჭრილში ვიხილავთ, იკვეთება რამდენიმე მახასიათებელი, რომელთა მიხედვითაც შინამეურნეობების შემოსავლები განსხვავდება. თუმცა, მნიშვნელოვანია მათი ფრთხილი ინტერპრეტაცია, რადგან ის ცვლადები, რომელთა კროსტაბულაციაც მოხდა, არა შინამეურნეობის, არამედ ინდივიდუალური დონისაა. საერთო ჯამში, განსხვავებები სქესის მიხედვით არ გამოიყოფა. ეთნიკური უმცირესობები და სოფლის მაცხოვრებლები უფრო დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებს წარმოადგენენ, ვიდრე ეთნიკური ქართველები და დედაქალაქში ან სხვა ქალაქებში მცხოვრებნი. მათ, ვისაც განათლების უფრო მაღალი დონე უფიქსირდებათ, შემოსავალიც უფრო მაღალი აქვთ. მცირეა განსხვავება მიგრაციის სტატუსის მიხედვით.

სურათი 16:
შინამეურნეობის (ერთჭერქვეშ მცხოვრებნი) შემოსავალი სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში



[4] ევროსა და ლარის საშუალო ოფიციალური გაცვლითი კურსი საველე სამუშაოების ჩატარების დროს GEL 3.7986 იყო. ამრიგად, ეს კატეგორიები ევროში შეესაბამება შემდეგ ჯგუფებს: 100-დან 163-ევრომდე შემოსავალი (380-620 ლარი), 163-დან 248 ევრომდე შემოსავალი (621-945 ლარი), 249 დან 389 ევრომდე შემოსავალი (945-1479 ლარი), და 390+ ევრო შემოსავალი (1480+ ლარი). ყოველდღიური გაცვლითი კურსების საშუალო გამოყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით. მონაცემები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582.

კვლევამ რესპონდენტთა ენების ცოდნაც შეისწავლა. ყველაზე ხშირად, მშობლიური ენის გარდა, დამატებითი ენის ცოდნაში დაფიქსირდა რუსული (50%), ინგლისური (14%), თურქული (3%) და ქართული (3%). მოსახლეობის 74%-მა აღნიშნა, რომ იცის, მინიმუმ, ერთი დამატებითი ენა. ამას უფრო ხშირად აღნიშნავდნენ კაცები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, განათლების უფრო მაღალი დონის მქონენი; ისინი, ვისაც მიგრაციის გამოცდილება აქვს, ვინც ცხოვრობს ქალაქებში (მათ შორის თბილისი) და ვინც დასაქმებულია. „თეთრსაყელოიან“ პროფესიებში დასაქმებულებმა უფრო ხშირად იციან უცხო ენა.

სურათი 17:

უცხო ენების ცოდნა სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში



კვლევამ რესპონდენტთა ციფრული უნარებიც გამოიკითხა, მათ შორის, სოციალური მედიის, ინტერნეტ ძიების, კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენების და ონლაინ კურსებზე ჩართვის უნარები. მონაცემების თანახმად, რესპონდენტებს ყველაზე მეტად ინტერნეტ ძიება და სოციალური მედიის გამოყენება უმარტივდებათ. ისინი ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან საკუთარ უნარებში კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენებისა და ონლაინ კურსებში ჩართვის შემთხვევაში.

სურათი 18:
ციფრული ინსტრუმენტების ცოდნა



ციფრული უნარების ფლობის დონე გამოკითხულთა შორის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით. ახალგაზრდები გაცილებით უფრო მაღალი დონის ცოდნას ასახელებდნენ, ვიდრე უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლები; ასევე, ეთნიკური ქართველები, თბილისში და ქალაქებში მცხოვრებნი აღნიშნავდნენ ცოდნის შედარებით მაღალ დონეს, ვიდრე სოფლის მაცხოვრებლები. დასაქმებულები, მიგრაციის გამოცდილების მქონენი და უფრო შეძლებული ოჯახების წარმომადგენლები, აგრეთვე, უფრო ხშირად ასახელებენ უკეთეს უნარებს. ისინი, ვინც უფრო მაღალ პროფესიულ კატეგორიებში ხვდებიან, ხშირად აღნიშნავდნენ საშუალო ან მაღალი დონის ცოდნას. ქვედა ცხრილი ამ ნიმუშებს მხოლოდ ინტერნეტ ძიების მხრივ გვაჩვენებს, თუმცა, ნიმუშები მსგავსია სხვა ციფრული უნარების შემთხვევაშიც.

სურათი 19:

ციფრული ინსტრუმენტების ცოდნა (ინტერნეტ ძიების გამოყენება) სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით



ზემოთ მოყვანილი მონაცემები რესპონდენტთა პერსონალურ მახასიათებლებს გვაჩვენებს, მათ შორის, დემოგრაფიულ მახასიათებლებს, განათლების მიღწევებს, მიგრაციის გამოცდილებას, სამუშაო სტატუსსა და ციფრულ უნარებს.

განათლების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა

კვლევამ განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის საკითხიც შეისწავლა. მონაცემების თანახმად, ბოლო 12 თვის მანძილზე მოსახლეობის 17%-მა მოიძია ინფორმაცია განათლების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაციის მაძიებელთა 81%-მა იპოვნა ის, რასაც ეძებდა.

განათლების შესაძლებლობებზე ინფორმაციას უფრო ხშირად ეძებდნენ დედაქალაქში (29%), ვიდრე სხვა ქალაქებში (17%) ან სოფლად (11%); ქალები (21%) უფრო ხშირად ეძებენ ინფორმაციას, ვიდრე კაცები (13%); ინფორმაციის ძიების მხრივ უფრო აქტიური არიან ახალგაზრდები 18-24 ასაკობრივ კატეგორიაში (40%) და ზრდასრულები 25-44 ასაკობრივ კატეგორიაში (19%), ხოლო უფრო ასაკოვან მოსახლეობაში მაჩვენებელი მცირეა (7%). ეთნიკური ქართველები უფრო ხშირად ეძებენ განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას (18%), ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენლები (10%). დასაქმებულებიც უფრო ხშირად ეძებენ (19%), ვიდრე ისინი, ვინც არ მუშაობს (13%). ყველაზე აქტიურად ინფორმაციას ეძებდნენ სამუშაო ძალის მიღმა მყოფნი (40%). ისინი, ვისაც ოდესმე უცხოვრია საზღვარგარეთ (18%), უფრო ხშირად ეძებდნენ ინფორმაციას, ვიდრე ისინი, ვისაც საზღვარგარეთ არ უცხოვრია (14%). მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახების წარმომადგენლები უფრო ხშირად ეძებდნენ ინფორმაციას (25%), ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების წარმომადგენლები (12%).

სურათი 20:
განათლების შესაძლებლობების ძიება



ინფორმაციის მაძიებელთა 81%-მა სასურველი ინფორმაცია მოიძია. ინფორმაციის ტოპ სამი წყაროა ინტერნეტი (64%, სოციალური მედიის გარდა), სოციალური მედია (31%), მეზობლები და ახლობლები (15%).

სურათი 21:

ინფორმაციის ძირითადი წყაროები



საერთო ჯამში, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში განათლების შესაძლებლობებზე ინფორმაციას მოსახლეობის ერთ მეხუთედზე ნაკლები ეძებდა. სასურველი ინფორმაცია მაძიებელთა უმეტესობამ იპოვნა. ინფორმაციის ძიებაში, სხვა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლებთან შედარებით, დედაქალაქის მცხოვრებნი უფრო აქტიურობდნენ. მაძიებელთა შორის ამ კუთხით აქტიურობა უფრო ქალებისა და ახალგაზრდებისთვის იყო დამახასიათებელი, ვიდრე ასაკოვნებისთვის. ეთნიკური ქართველები უფრო ხშირად ეძებენ ინფორმაციას განათლების შესაძლებლობების შესახებ, ვიდრე არაეთნიკური ქართველები. დასაქმებულები და ისინი, ვისაც უცხოეთში არასდროს უცხოვრია, ინფორმაციას უფრო ხშირად ეძებდნენ, ვიდრე უმუშევრები და ისინი, ვინც საზღვარგარეთ ცხოვრობდა.

განათლებისა და ტრენინგის პროცესებში ჩართულობა

კვლევაში ბევრი შეკითხვა დაისვა განათლების სხვადასხვა ფორმებში ჩართულობის შესახებ: ფორმალური, არაფორმალური, ინფორმალური განათლება და ტრენინგები. საერთო ჯამში, 7%-მა აღნიშნა, რომ ჩართულია ფორმალურ განათლებაში, 13%-მა – არაფორმალურ განათლებაში და 46%-მა – ინფორმალურ განათლებაში. ანგარიშის წინამდებარე ნაწილი ამ აქტივობებში ჩართულობის შესახებ მოიცავს ინფორმაციას.

ფორმალური განათლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო 12 თვის განმავლობაში, გამოკითხული მოსახლეობის 7% ფორმალური განათლების პროცესებში იყო ჩართული და კვალიფიკაციის მისაღებად იღწვოდა. ფორმალური განათლების პროცესში ჩართულთა უმეტესობა ერთ ფორმალურ სასწავლო აქტივობაში (5%) მონაწილეობდა. ფორმალური სასწავლო აქტივობების დიდი ნაწილი კი იყო: საშუალო დონის შემდგომი ეტაპის (34%), მოკლე ციკლის უმაღლესი განათლების (26%), ან ბაკალავრის / ეკვივალენტი ეტაპის (24%). მათ შორის, ვინც აღნიშნა, რომ განათლებას იღებს, 41%-ი კვლავაც ჩართულია პროცესში, 58%-მა დაასრულა, ხოლო 2%-მა სწავლა მიატოვა. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სექციის კროსტაბებში არსებული ნიმუშის ზომა შედარებით მცირეა და ამის გათვალისწინებით, მონაცემები სიფრთხილით უნდა განვიხილოთ.

როგორც მონაცემები გვაჩვენებს, კაცები უფრო მეტად არიან ჩართული ზედა საფეხურის /საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლების დონის პროცესში, ვიდრე ქალები. ხოლო ქალები უფრო ხშირად მონაწილეობენ მაგისტრატურის, დოქტორანტურის ან ეკვივალენტი დონის სასწავლო პროცესებში (15%); აგრეთვე, ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი კატეგორია (18-24) უფრო მეტად არის ჩართული ბაკალავრის ან ეკვივალენტი დიპლომის მიღების პროცესში, ვიდრე 24-44 წლის ასაკობრივი კატეგორია (24%), რომელიც უფრო მეტი ალბათობით სწავლობს მაგისტრატურაზე ან ეკვივალენტ დონეზე. 45-64 წლის ასაკობრივი კატეგორია უფრო ხშირად სწავლობს ზედა საფეხურის/საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლების დონეზე (42%). დედაქალაქის მაცხოვრებლები უფრო მეტი ალბათობით მონაწილეობენ მაგისტრატურის/დოქტორანტურის სასწავლო პროცესებში (24%), ვიდრე სხვა ტიპის დასახლებათა მცხოვრებლები. მხოლოდ ეთნიკური ქართველები (13%) სწავლობენ მაგისტრატურის/დოქტორანტურის ან ეკვივალენტ დონეებზე. ეთნიკური უმცირესობები უფრო ხშირად (50%) ზედა საფეხურის /საშუალოს შემდგომი არა-უმაღლესი განათლების პროცესებში არიან ჩართული, ვიდრე ეთნიკური ქართველები (38%).

სურათი 22:

ფორმალური განათლების პროცესებში ჩართულობა სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით



კვლევისას რესპონდენტებს, ასევე, ჰკითხეს, თუ რომელ სფეროს შეისწავლიან ფორმალური განათლების პროცესში. მონაცემების თანახმად, ყველაზე ხშირია – განათლება (28%), ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი (20%) და ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები (14%). 45-64 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მყოფნი (27%) და ეთნიკური უმცირესობები (36%) უფრო ხშირად ზოგად პროგრამებსა და საკვალიფიკაციო პროგრამებზე სწავლობენ, ვიდრე ახალგაზრდები (25-44: 16%, 18-24: 6%) და ეთნიკური ქართველები (13%).

სურათი 23:

განათლების სფერო სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



მათ შორის, ვინც ფორმალურ განათლებას იღებდა, 48%-მა აღნიშნა, რომ პროცესი, ძირითადად, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. მონაცემების თანახმად, ბაკალავრის ან ეკვივალენტი დონისა (67%) და მაგისტრატურის/დოქტორანტურის ან ეკვივალენტი დონის (65%) სასწავლო პროცესები უფრო ხშირად ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში, ვიდრე ზედა საფეხურის/ საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლებისა (43%) და მოკლე ციკლის უმაღლესი განათლების (34%) პროცესები.

სურათი 24:

განათლების სფერო სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



უმეტეს შემთხვევებში (51%), ისინი, ვინც ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობდნენ, დასაქმებული არ იყვნენ. სასწავლო აქტივობების 35% ანაზღაურებადი სამუშაო საათების მიღმა სრულდებოდა. ეს უფრო დამახასიათებელი იყო მაღალი ასაკობრივი კატეგორიისთვის (45-64: 53% და 25-44: 51%), ვიდრე ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფისთვის (18-24: 12%). მაგისტრატურის/ დოქტორანტურის ან ეკვივალენტი დონის სასწავლო პროცესები (52%), მოკლე ციკლის უმაღლესი განათლების პროცესები (45%), და ზედა საფეხურის/ საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლების პროცესები (41%) უფრო ხშირად სამუშაო საათების შემდეგ მიმდინარეობდა, ვიდრე საბაკალავრო პროგრამები (5%). სხვა ჯგუფებში ამ საკითხზე აღსანიშნავი განსხვავება არ ყოფილა.

სურათი 25:
ფორმალური განათლება ანაზღაურებადი სამუშაო საათების დროს



ფორმალურ განათლებაზე, გასულ წელს, რესპონდენტები კვირაში საშუალოდ 10.5 საათს ხარჯავდნენ. ოთხ კვირიანი ან მეტი ხანგრძლივობის პროცესი უფრო ხშირი იყო ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში (18-24: 78%, 25-44: 37%, 45-64: 44%); აგრეთვე, მათ, ვინც ბაკალავრის დონეზე სწავლობდნენ, ფორმალური განათლების პროცესებში მეტი დრო დახარჯეს (90%), ვიდრე ფორმალური განათლების სხვა ეტაპებზე ჩართულმა რესპონდენტებმა.

სურათი 26:

ფორმალური განათლების პროცესში დახარჯული დრო



მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ იყვნენ რესპონდენტები ფორმალური განათლების აქტივობებში ჩართული, იყო შემდეგი – რესპონდენტები ფორმალურ კვალიფიკაციას არ მიიჩნევდნენ საჭიროდ (26%), ჰქონდათ ოჯახური პასუხისმგებლობები (23%) და მიმდინარე სამსახურში ფორმალური კვალიფიკაცია არ მოეთხოვებოდათ (33%).

სურათი 27:
მიზეზები, რომელთა გამოც რესპონდენტები ფორმალური განათლების აქტივობებში არ მონაწილეობდნენ

რამდენად ვალიდური იყო აღნიშნული მიზეზი თქვენთვის, თითოეულ პუნქტზე, ბოლო 12 თვის მანძილზე, ფორმალური განათლების პროცესებში არ მონაწილეობისთვის? (%) n = 3966



როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, საქართველოში შედარებით მცირე რაოდენობის ადამიანია ჩართული ფორმალური განათლების აქტივობებში. ჩართულთა შორის ახალგაზრდები უფრო ხშირად სწავლობენ ბაკალავრის დიპლომის მისაღებად, ხოლო შედარებით მაღალი ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლები ფორმალური განათლების უფრო მაღალ დონეზე არიან ფოკუსირებულნი. მონაცემების მიხედვით, მათ უმეტესობას, ვინც ფორმალური განათლების პროცესში არ მონაწილეობს, მიაჩნია, რომ ეს არც სჭირდება პირადი მიზნებისა თუ სამსახურისთვის; ან ოჯახური ვალდებულებები უშლით ხელს.

არაფორმალური განათლება

ბოლო 12 თვის მანძილზე მოსახლეობის 13% მონაწილეობდა არაფორმალური განათლების აქტივობებში. არაფორმალური განათლება მოიცავს კურსებს, ვორქშოპებს, სემინარებს, სამუშაო პროცესში წვრთნასა და კერძო გაკვეთილებს. ფორმალური განათლებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ოფიციალურად აღიარებული კვალიფიკაცია/სერტიფიკატები არ გაიცემა.

ისინი, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე არაფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობდნენ, ყველაზე ხშირად ასახელებდნენ, რომ გადიოდნენ წვრთნას სამუშაო პროცესში (6%), ასევე, კურსებს (5%), ესწრებოდნენ ვორქშოპებსა და სემინარებს (5%) და ბოლოს, კერძო გაკვეთილებს (3%). კურსების საშუალო რაოდენობამ – 1.98, ვორქშოპებისა და სემინარებისა – 2.6, სამუშაო პროცესში წვრთნისა – 1.89, ხოლო კერძო გაკვეთილების საშუალო რაოდენობამ 1.95 შეადგინა. არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების საშუალო რაოდენობა კი ამ აქტივობებში მონაწილეთათვის 2.2 დაფიქსირდა.

ბოლო 12 თვის მანძილზე არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში უფრო ხშირად ახალგაზრდები იყვნენ ჩართული. დედაქალაქის მაცხოვრებლები (18%) უფრო ხშირად მონაწილეობდნენ ამ აქტივობებში, ვიდრე სხვა ქალაქებისა (13%) და სოფლების მაცხოვრებლები (9%); ქალები (14%) უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ არაფორმალურ განათლებაში, ვიდრე კაცები (11%); ეთნიკური ქართველები (14%) უფრო ხშირად ერთვებოდნენ, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენლები (5%); აგრეთვე, ბოლო 12 თვის მანძილზე, არაფორმალური განათლების აქტივობებში უფრო ხშირად მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონენი მონაწილეობდნენ (38%).

სურათი 28:

მონაწილეობა არაფორმალური განათლების აქტივობებში, სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



რესპონდენტებს 12 თვის განმავლობაში ჩატარებულ ბოლო 4 აქტივობაზე უფრო დეტალურად გამოვკითხეთ. ანგარიშის ეს ნაწილი იმ პირველ არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაზე გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც რესპონდენტებმა დაასახელეს.

რესპონდენტთა უმეტესობის თქმით, არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობა მათ სამუშაოს ეხებოდა; ნახევარზე ნაკლებმა აღნიშნა, რომ იგი სამუშაო საათებში ჩატარდა. უმეტეს შემთხვევებში, არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობის ხარჯი დამსაქმებელმა აანაზღაურა.

რესპონდენტების მიერ პირველ რიგში დასახელებული აქტივობის ანალიზისას გაირკვა, რომ სამუშაოსთან დაკავშირებული არაფორმალური განათლების აქტივობების 53% კერძო გაკვეთილები იყო, ხოლო სამუშაო პროცესში წვრთნა – უშუალოდ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო აქტივობის ფორმა, როგორც წესი, სამუშაო საათების დროს იმართება, კერძო გაკვეთილები კი – მათ მიღმა. სამუშაო პროცესში წვრთნის ხარჯს უფრო ხშირად დამკვეთი ანაზღაურებს, ხოლო კერძო გაკვეთილებს, უმეტეს შემთხვევაში, – არა.

სურათი 29:
არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნისა და აქტივობის ხანგრძლივობის მიხედვით



უფრო დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად რესპონდენტებთან დამატებითი შეკითხვები დაისვა მათ მიერ დასახელებული 4 აქტივობიდან შემთხვევით შერჩეულ 2 აქტივობაზე. ანგარიშის ამ ნაწილში დარჩენილი შეკითხვები შემთხვევით შერჩეულ პირველ აქტივობას ეხმიანება, რომელიც შეიძლება, ზემოთ აღწერილ აქტივობებს არ შეესაბამებოდეს. ამ მონაცემების მიხედვით, პირველად დასახელებულ არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში მონაწილეობის მთავარი მიზეზებია: „უკეთ შევასრულო ჩემი სამუშაო“ (49%), „მივიღო ყოველდღიური ცხოვრებისათვის სასარგებლო ცოდნა/უნარები“ (19%), და „გავიუმჯობესო კარიერული პერსპექტივები“ (19%).

სურათი 30:

არაფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობის მიზეზები



მიზეზს „სამუშაოს უკეთ შესასრულებლად“ უფრო ხშირად მაღალი ასაკობრივი ჯგუფები 25-44 (61%) და 45-64 (64%) ასახელებენ, ვიდრე ახალგაზრდები (21%). მაღალკვალიფიციურ „თეთრსაყელოიან“ პოზიციებზე მომუშავეებს იგივე მიზეზი უფრო ხშირად (75%) მოჰყავთ, ვიდრე დაბალკვალიფიციურ „თეთრსაყელოიან“ პოზიციებზე დასაქმებულებს (66%), ასევე – მაღალკვალიფიციურ (58%) და დაბალკვალიფიციურ (49%) „ლურჯსაყელოიან“ პოზიციებზე მომუშავეებს.

სურათი 31:

არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიზეზით „სამუშაოს უკეთ შესასრულებლად“ – ასაკობრივი კატეგორიებისა და პროფესიული უნარების დონის მიხედვით

„სამუშაოს უკეთ შესასრულებლად“ – როგორც ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი შემთხვევით შერჩეულ პირველ არაფორმალურ სასწავლო აქტივობაზე დასასწრებად, ასაკისა და პროფესიული უნარების დონეების მიხედვით (%)

n = 394



შუა ხნის ასაკობრივი კატეგორია (25-44) უფრო ხშირად ასახელებს კარიერის გაუმჯობესების პერსპექტივებს (28%), ვიდრე უფრო ასაკიანი (15%) და უფრო ახალგაზრდა ჯგუფები (6%). „თეთრსაყელოიან“ (30%) და „ლურჯსაყელოიან“ (34%) მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს უფრო ხშირად მოჰყავთ კარიერის განვითარებასთან დაკავშირებული მიზეზები, ვიდრე დაბალკვალიფიციურ „თეთრსაყელოიან“ პოზიციებზე მომუშავეებს (18%). ეთნიკურმა ქართველებმა კარიერის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მიზეზები ოთხჯერ უფრო ხშირად დაასახელეს ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით.

სურათი 32:

არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა „კარიერული პერსპექტივის გასაუმჯობესებლად“ – ასაკობრივი კატეგორიებისა და მთავარი პროფესიული უნარების დონის მიხედვით



ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივმა კატეგორიამ უფრო მეტჯერ დაასახელა ცოდნის მიღება/უნარების განვითარება ყოველდღიური ცხოვრებისთვის სასარგებლო ცოდნის/უნარების მისაღებად (39%), ვიდრე უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლებმა (25-44: 14%, 45-64: 8%); აგრეთვე, დაბალი კვალიფიკაციის „ლურჯსაყელოიანმა“ მუშაკებმა დაასახელეს ეს მიზეზი უფრო ხშირად (19%) მაღალი კვალიფიკაციის „ლურჯსაყელოიან“ მუშაკებთან (7%), დაბალი კვალიფიკაციის „თეთრსაყელოიან“ (11%) და მაღალი კვალიფიკაციის „თეთრსაყელოიან“ მუშაკებთან შედარებით (3%).

სურათი 33:
არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა „ყოველდღიური ცხოვრებისთვის სასარგებლო ცოდნის/უნარების მისაღებად“ – ასაკობრივი კატეგორიებისა და მთავარი პროფესიული უნარების დონის მიხედვით

„ყოველდღიურ ცხოვრებაში სასარგებლო ცოდნის/უნარების მისაღებად“ – როგორც მეორე/მესამე ადგილზე ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი, შემთხვევით შერჩეულ პირველ არაფორმალურ სასწავლო აქტივობაზე დასასწრებად, ასაკისა და პროფესიული დონის მიხედვით (%) n = 394



უმეტეს შემთხვევებში, შემთხვევით შერჩეულ პირველ არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში სერტიფიკატი არ გაცემულა (62%).

სურათი 34:

სერტიფიკატის მიღება არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში



კურსების გადასახადებთან დაკავშირებით, რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა (46%) აღნიშნა, რომ აქტივობა უფასო იყო. მათ შორის, ვინც აღნიშნა, რომ აქტივობა იყო ფასიანი, 28%-მა ღირებულება პირადად, ან ოჯახის სახსრებით დაფარა, ხოლო 25%-ს ღირებულება სხვამ გადაუხადა. ამ მონაცემებთან შედარებით, დამსაქმებლის მიერ ანაზღაურების ნაკლები შემთხვევა დაფიქსირდა (19%). საშუალო ღირებულებამ 460 ლარი შეადგინა, ხოლო მედიანამ – 300 ლარი. საშუალო ფასი უფრო მაღალი იყო ზოგად საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო პროგრამებზე, ვიდრე სხვა ტიპის პროგრამებზე.

სურათი 35:

სწავლის საშუალო ღირებულება და მედიანა საგანმანათლებლო სფეროს მიხედვით



როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობა მათ რამდენიმე მიმართულებით დაეხმარა. შემთხვევით შერჩეულმა პირველმა არაფორმალურმა აქტივობამ ხელი შეუწყო მონაწილეებს მიმდინარე სამსახურში სამუშაოს უკეთ შესრულებაში (37%), ახალი ამოცანების განხორციელებაში (33%), პერსონალურ განვითარებაში (მაგ. სოციალური კონტაქტები ან ზოგადი უნარების განვითარება) (32%), სამსახურში დაწინაურებასა (8%) და ახალი სამსახურის შოვნაში (7%). საერთო ჯამში, 13%-მა აღნიშნა, რომ შედეგი ჯერ არ დამდგარა. უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლებმა უფრო ხშირად აღნიშნეს, რომ აქტივობები მათ არსებულ სამსახურში სამუშაოს უკეთ შესრულებაში დაეხმარა (60%), ვიდრე ახალგაზრდებმა (13%). სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯგუფების ჭრილში არ დაფიქსირებულა.

სურათი 36:

როგორ დაეხმარა შემთხვევით შერჩეული პირველი არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობა რესპონდენტებს?



იმ რესპონდენტებს, რომლებიც რაიმე სახის არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში არ მონაწილეობდნენ, კვლევამ საამისო მიზეზები გამოკითხა. აქტივობებში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი იყო „პირადად მე არ მჭირდებოდა საგანმანათლებლო ან ტრენინგ აქტივობაში ჩართვა“ (31%); „ოჯახურმა ვალდებულებებმა დრო აღარ დამიტოვა სწავლისა და ტრენინგებისთვის“ (25%); და „ჩემი სამსახურისთვის დამატებითი ტრენინგი არ მჭირდება“ (19%).

სურათი 37:

არაფორმალური განათლების პროცესებში არმონაწილეობის მიზეზები

ზემოთ მოყვანილი მონაცემები არაფორმალური სწავლების შესახებ ცხადყოფს, რომ საქართველოში ადამიანთა უმნიშვნელო რაოდენობა იყო დაკავებული არაფორმალური განათლებით. თუმცა, ბოლო ერთი წლის მანძილზე, უფრო მეტი ადამიანი ჩაერთო არაფორმალურ განათლებაში, ვიდრე ფორმალურში. მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ერთვებოდნენ, კარიერას უკავშირდებოდა, ხოლო მთავარი მიზეზი, რის გამოც ისინი არ ერთვებოდნენ ამ აქტივობებში, საჭიროების არქონასთან ან ოჯახურ მოვალეობებთან იყო დაკავშირებული.

ინფორმალური განათლება

მონაცემების მიხედვით, ბოლო 12 თვის მანძილზე მოსახლეობის 46% მონაწილეობდა ინფორმალური განათლების აქტივობებში. ინფორმალური განათლება ნაკლებად ორგანიზებულ და ნაკლებად სტრუქტურირებულ განათლების პროცესს მოიცავს სხვადასხვა წყაროების გამოყენებით – როგორც სამსახურში, ასევე თავისუფალ დროს, ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად.

ბოლო 12 თვის მანძილზე ახალგაზრდები უფრო ხშირად ერთვებოდნენ ინფორმალური განათლების აქტივობებში; აგრეთვე, ქალაქში მცხოვრები უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობდა ინფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში (50%), ვიდრე სოფლის მაცხოვრებლები (43%).

სურათი 38:

ინფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა



ინფორმალური სწავლების მთავარი წყარო მოიცავს სწავლას კომპიუტერის გამოყენებითა (32%) და ოჯახის წევრების/მეგობრების დახმარებით, მათთან ერთად (30%); ბეჭდური მასალები დაასახელა 19%-მა, ტელევიზია/რადიო/ვიდეო – 21%-მა, ტურები გიდის თანხლებით მუზეუმებში, ისტორიულ, ბუნებრივ, ან ინდუსტრიულ ღირშესანიშნაობებში – 5%-მა; სასწავლო ცენტრებში, მათ შორის ბიბლიოთეკებში ვიზიტი კი – 6%-მა.

სურათი 39:
ინფორმალური განათლების ტიპი



ახალგაზრდებმა (48%) ინფორმალური განათლების მთავარ არხად/წყაროდ კომპიუტერი დაასახელეს. ეს მაჩვენებელი მაღალ ასაკობრივ კატეგორიებში (22%) ბევრად დაბალია; კომპიუტერი, აგრეთვე, უფრო ხშირად დაასახელეს დედაქალაქის მაცხოვრებლებმა (38%), სოფლის მაცხოვრებლებთან შედარებით (27%).

სურათი 40:
ინფორმალური განათლების ტიპი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ინფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობა გაცილებით უფრო ხშირი იყო, ვიდრე ფორმალურ ან არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში. ინფორმალური განათლების აქტივობებში ყველაზე ხშირად ახალგაზრდები და ქალაქის მაცხოვრებლები მონაწილეობენ. კომპიუტერი და ოჯახის წევრები ინფორმალური განათლების მიღების ყველაზე ფართოდ გავრცელებული წყაროა.

ზრდასრულთა განათლების საკითხების აღქმები

კვლევაში სიღრმისეულად გამოვიკითხეთ მოსახლეობის დამოკიდებულებები ზრდასრულთა განათლების საკითხების მიმართ, მათ შორის: სასწავლო პროცესებში ჩართვის სირთულე 30 წლის ზემოთ, ზრდასრულთა განათლების მიზნები, ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა კომპონენტებზე პასუხისმგებლობები, განათლების სასურველი სასწავლო რეჟიმი/აქტივობები და მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებია სამუშაოს საშოვნელად მნიშვნელოვანი.

კვლევამ გამოიკითხა, თუ როგორ აღიქვამენ რესპონდენტები 30 წელს ზემოთ სასწავლო აქტივობებში ჩართვის საკითხებს. საერთო ჯამში, 44% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სწავლა 30 წელს ზემოთ რთულია; მეტიც, 75%-ი თვლის, რომ 30 წელს ქვემოთ ასაკის ადამიანებს უფრო უმარტივდებათ ახალი უნარების ათვისება. რესპონდენტთა უმეტესობა (61%) ეთანხმება იმ აზრს, რომ 30 წელს ქვემოთ ასაკის ადამიანები უფრო დაინტერესებული არიან სწავლით, ვიდრე 30 წელს გადაცილებულები; 63% თვლის, რომ 30 წელს ზემოთ ადამიანებს უკვე საკმარისად ბევრი საქმე აქვთ იმისათვის, რომ განათლების მიღება ვეღარ გააგრძელონ.

სურათი 41:

30 წელს ზემოთ სწავლის მიმართ დამოკიდებულებები



ზემოთ მოცემულ შეკითხვაზე პასუხებში, სხვადასხვა სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში, მონაცემები რიგ განსხვავებებს გვაჩვენებს. ასაკიანი ადამიანები უფრო ხშირად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ სწავლა 30 წელს ზემოთ რთულია, ვიდრე ახალგაზრდები. ეთნიკური უმცირესობებიც უფრო ხშირად ეთანხმებიან ამ აზრს (62%), ვიდრე ეთნიკური ქართველები (41%), აგრეთვე, სოფლად მცხოვრებნი (52%) – ქალაქისა (38%) და დედაქალაქის (33%) მაცხოვრებლებთან შედარებით.

სურათი 42:

„სწავლა 30 წელს ზემოთ ასაკში რთულია“ – სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით



რესპონდენტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ „ადამიანებს 30 წელს ზევით საკმარისი საქმე აქვთ საიმისოდ, რომ დამატებით სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლონ“. ამის პროცენტული მაჩვენებელი მაღალია ეთნიკურ უმცირესობებში (74%), ეთნიკურ ქართველებთან (62%) შედარებით და სოფლის მაცხოვრებლებში (71%) – ქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით (57%).

სურათი 43:

„ადამიანებს 30 წელს ზევით საკმარისი საქმე აქვთ საიმისოდ, რომ დამატებით სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლონ“ – სოციალური და დამოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში



როგორც მონაცემები გვაჩვენებს, ეთნიკური უმცირესობები (73%) უფრო ხშირად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ 30 წელს ქვემოთ ასაკის ადამიანები უფრო დაინტერესებული არიან სწავლით, ვიდრე 30 წელს ზემოთ; ეთნიკური ქართველები (60%), აგრეთვე, სოფლად მცხოვრებნი უფრო ხშირად ეთანხმებიან ამ აზრს (69%), ვიდრე დედაქალაქისა (53%) და სხვა ქალაქების მაცხოვრებლები (57%); კაცები (65%) უფრო ხშირად ეთანხმებიან იგივე აზრს, ვიდრე ქალები (59%) და უფრო ასაკიანი რესპონდენტები.

სურათი 44:

„30 წელს ქვემოთ ადამიანები უფრო დაინტერესებულნი არიან სწავლით, ვიდრე მათზე ასაკოვანი ადამიანები“ – სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით



მონაცემები, ასევე, შეიცავს შეხედულებებს ზრდასრულთა განათლების რიგ სხვა ასპექტებზე. მაგალითად, რესპონდენტთა 66%-ს მიაჩნია, რომ ზრდასრულთა განათლების პროგრამები განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვინც დასაქმებულია ისეთი სახელობო პროფესიებით, როგორიცაა სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, მშენებელი, შემდუღებელი. საერთო ჯამში, 23% ფიქრობს, რომ მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეუძლიათ თავს უფლება მისცენ ზრადსრულთა განათლების როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ პროგრამებში მონაწილეობის. გარდა ამისა, 21% ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ზრდასრულთა განათლების აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა მხოლოდ მათ აქვთ, ვინც რაიმე ფორმითაა დაახლოებული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ხოლო 36% -ს მიაჩნია, რომ ზრდასრულთა განათლება მათთვისაა, ვისაც ზედმეტი თავისუფალი დრო აქვს.

სურათი 45:

დამოკიდებულებები ზრდასრულთა განათლების მიმართ



დამოკიდებულებებთან დაკავშირებული მონაცემების ჩაშლისას თვალსაჩინოა ქცევის რამდენიმე ნიმუში. სოფლის მცხოვრებლები უფრო ხშირად ფიქრობენ, რომ ზრდასრულთა განათლების პროგრამები განსაკუთრებით სასარგებლოა სახელობო პროფესიებისთვის.

სურათი 46:

„ზრდასრულთა განათლება განსაკუთრებით სასარგებლოა სახელობო პროფესიებისთვის“ – სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით



დედაქალაქში მცხოვრებთა უმეტესობა (70%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ მათ, ვინც რაიმე ფორმითაა დაახლოებული არასამთავრობო ორგანიზაციებთან; სოფლისა (51%) და სხვა ქალაქების მაცხოვრებელნი (60%) უფრო იშვიათად არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას, უფრო ასაკიანი რესპონდენტები კი უფრო მეტად ეთანხმებიან მას; ასევე – ეთნიკური ქართველები (61%) უფრო ხშირად არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას, ვიდრე ეთნიკური უმცირესობები (38%).

სურათი 47:

„ზრდასრულთა განათლების აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ მათ, ვინც დაახლოებულია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან“ – სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით



ეთნიკური უმცირესობები (46%) უფრო ხშირად, ვიდრე ეთნიკური ქართველები (35%) ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ „ზრდასრულთა განათლება მათთვისაა, ვისაც ზედმეტი თავისუფალი დრო აქვს“; აგრეთვე, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფები უფრო იშვიათად ეთანხმებიან ამ აზრს, ვიდრე შედარებით უფროსი რესპონდენტები. გარდა ამისა, სოფლის მაცხოვრებლები (43%) ეთანხმებიან იგივე მოსაზრებას უფრო ხშირად, ვიდრე ქალაქისა (35%) და დედაქალაქის (25%) მაცხოვრებლები.

სურათი 48:

„ზრდასრულთა განათლება მათთვისაა, ვისაც ზედმეტი თავისუფალი დრო აქვს“ – სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით



როდესაც საქმე ეხება ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობების შექმნის პასუხისმგებლობას, ადამიანებს ხშირად სჯერათ, რომ ზრდასრულთა განათლებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა. რესპონდენტთა უმეტესობა სახელმწიფოს ასახელებს პასუხისმგებლად ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრაზე (71%), სწავლების ორგანიზებაზე (71%), დაფინანსებაზე (82%), სერტიფიცირებაზე (75%) და სწავლების შემდგომ დასაქმებაზე (74%). სახელმწიფოს შემდეგ კი, რესპონდენტები ზრდასრულთა განათლებაზე პასუხისმგებლად ყველაზე ხშირად დამსაქმებლებს მიიჩნევენ.

სურათი 49:

ვინ არის პასუხისმგებელი ზრდასრულთა განათლებაზე?



რესპონდენტებს ვკითხეთ, ასევე, განათლების რომელი ფორმატი ურჩევნიათ სხვადასხვა თემატიკის შესასწავლად – ფორმალური, არაფორმალური თუ ინფორმალური? კვლევამ გამოიკითხა ისიც, თუ რომელი სასწავლო აქტივობაა შემდეგი მიზნებისთვის საუკეთესო: ახალი თემების შესასწავლად, უკეთესი სამუშაოს პოვნის შანსების გასაზრდელად, პრაქტიკული უნარების გასავითარებლად, არსებულ სამუშაოზე მეტი უსაფრთხოებისთვის, დაწინაურებისთვის ან უკეთესი ანაზღაურებისთვის, აღიარებული კვალიფიკაციის მისაღებად, პიროვნული განვითრებისთვის და პროფესიული სანაცნობო ქსელის გასაფართოებლად. გამოკითხულებს სჯერათ, რომ ფორმალური განათლება საუკეთესოა უკეთესი სამუშაოს საშოვნელად და ახალი საგნების შესასწავლად; ტრენინგზე დასწრება საუკეთესოა ახალი პრაქტიკული უნარების შესაძენად, არსებულ სამუშაოზე მეტი უსაფრთხოებისთვის, დაწინაურებისა ან უკეთესი ანაზღაურებისთვის.

სურათი 50:
სასურველი სასწავლო აქტივობა



კვლევამ, ასევე, შეკითხვა დასვა სწავლის სასურველი რეჟიმის შესახებ. ყველაზე ხშირად სასურველ რეჟიმად ფორმალური განათლება დასახელდა (72%); სიხშირით მეორე ადგილზეა კურსები (34%), ხოლო შერეული სწავლება (31%) – მესამე ადგილზე.

სურათი 51:

სწავლის სასურველი რეჟიმები



ადამიანებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ იმ ფაქტორების მნიშვნელობაზე, რომლებიც სამუშაოს შოვნას განსაზღვრავს საქართველოში. სამი ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი მოიცავს განათლებას (56%), კავშირებს (49%), პროფესიულ უნარებსა და გამოცდილებას (33%).

სურათი 52:

მნიშვნელოვანი ფაქტორები სამუშაოს საშოვნელად



როგორც მონაცემები გვაჩვენებს, ადამიანები ფიქრობენ, რომ 30 წლამდე ასაკში სწავლა უფრო მარტივია, ვიდრე 30 წლის შემდეგ; აგრეთვე, ზრდასრულთა განათლების მიმართ შედარებით ნეგატიურ დამოკიდებულებას ვხედავთ ეთნიკურ უმცირესობებსა და თბილისის გარეთ მცხოვრებ მოსახლეობაში; რესპონდენტებს ყველაზე ხშირად მიაჩნიათ, რომ ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობებს სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს; ხოლო განათლების რეჟიმებიდან უპირატესობას უმეტესობა ფორმალურ განათლებას ანიჭებს.

სწავლა დისტანციურად COVID-19-ის პერიოდში

რადგან კვლევა COVID-19 პანდემიის პერიოდში ჩატარდა, შეკითხვები ონლაინ სწავლასა და მის მიმართ დამოკიდებულებებსაც შეეხებოდა. კერძოდ, კითხვები დაისვა დისტანციური სწავლის გამოცდილებაზე, ტიპზე და სწავლის ამ ფორმასთან დაკავშირებულ შეხედულებებზე.

საერთო ჯამში, რესპონდენტთა 11%-მა აღნიშნა, რომ დისტანციურ სასწავლო პროცესში მონაწილეობდა მას შემდეგ, რაც COVID-19 პანდემია დაიწყო. მონაწილეთა უმეტესობა ფორმალური განათლების აქტივობებში (73%) იყო ჩართული, შედარებით მცირე ნაწილი კი – არაფორმალურ აქტივობებში (26%). სასწავლო პროცესი, ძირითადად, დაგეგმილი იყო პირისპირ, თუმცა COVID-19-ის გამო ონლაინ ფორმატში გადავიდა.

სურათი 53:

მონაწილეობა დისტანციური სწავლის პროცესში



მონაცემების თანახმად, 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი და დედაქალაქის მაცხოვრებლები უმეტეს შემთხვევაში დისტანციურ სასწავლო პროცესებში იყვნენ ჩართული, უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფებთან და სხვა ქალაქებისა და სოფლად მცხოვრებლებთან შედარებით.

სურათი 54:

დისტანციურ სასწავლო პროცესებში მონაწილეობა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში – სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით



შეკითხვაზე, თუ რატომ ჩაერთნენ რესპონდენტები ონლაინ სწავლაში პანდემიის დროს, მთავარ მიზეზად დასახელდა ის, რომ ლოქდაუნის დროს დამატებითი თავისუფალი დრო გამოუჩნდათ (40%) და ეს დრო განათლებისთვის გამოიყენეს; მესამედს (35%) უნარების განვითარება სჭირდებოდა პერსონალური საკითხების უკეთ სამართავად, ხოლო 18%-ს – სამუშაოს უკეთ შესასრულებლად. უმეტეს შემთხვევებში (44%) ტრენინგები პირისპირ იყო დაგეგმილი, მაგრამ შემდეგ, Covid-19-თან დაკავშირებული ვითარების გამო, სწავლა ონლაინ რეჟიმში გადავიდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში თავიდანვე ამ ფორმატში იყო დაგეგმილი (28%); ზოგიერთმა რესპონდენტმა კი ტრენინგი COVID-19-ის დროს აირჩია (27%).

სურათი 55:

დისტანციურ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის მიზეზები



ტოპ სამ აქტივობად, რომელშიც რესპონდენტები დისტანციურად იყვნენ ჩართული, დასახელდა – „ვასრულებდი დავალებებს, რომლებსაც მასწავლებელი/ინსტრუქტორი მაძლევდა“ (72%), „ვასრულებდი სხვა ონლაინ დავალებებს“ (36%), და „ვუყურებდი მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ წინასწარ ჩაწერილ ონლაინ გაკვეთილებს“ (34%).

სურათი 56:

აქტივობები, რომლებშიც რესპონდენტები დისტანციური სწავლის დროს მონაწილეობდნენ



დისტანციურად სწავლის ტოპ სამ ნაკლოვანებად დასახელდა: „რთულია ინსტრუქტორთან ინტერაქცია“ (47%); „პრაქტიკული აქტივობები შეუძლებელია“ (47%); და „ინსტრუქტორებს უჭირთ ონლაინ სწავლება“ (33%).

სურათი 57:
დისტანციურად სწავლის ნაკლოვანებები



დისტანციური სწავლის უპირატესობების აღნიშვნისას მოსწავლეებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს „დროის დაზოგვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაადგილებაზე“ (54%); „ფულის დაზოგვა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე“ (45%) და „სამუშაოსა და ოჯახის მოვალეობების შეთავსება“ (23%).

სურათი 58:

დისტანციური სწავლის უპირატესობები



18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (62%), ეთნიკური ქართველები (48%), დედაქალაქში და სხვა ქალაქში მცხოვრებნი (49%), აგრეთვე, კაცი რესპონდენტები (50%), უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ „ინსტრუქტორთან ინტერაქცია რთულია“, ვიდრე უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები, სოფლის მაცხოვრებლები, ეთნიკური უმცირესობები და ქალი რესპონდენტები; ეთნიკური უმცირესობები (58%) და კაცი რესპონდენტები (57%), ეთნიკურ ქართველებთან და ქალ რესპონდენტებთან შედარებით, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ, რომ „პრაქტიული აქტივობების ჩატარება შეუძლებელი იყო“.

სურათი 59:

დისტანციურად სწავლის ნაკლოვანებები სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



დისტანციურად სწავლის უპირატესობად „დროის დაზოგვა საგანამანათლებლო ინსტიტუტში წასვლაზე“ უფრო ხშირად დაასახელეს ეთნიკურმა უმცირესობებმა (64%), ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა (61%), კაცმა რესპონდენტებმა (59%) და დედაქალაქის მაცხოვრებლებმა (58%) შედარებით – ეთნიკურ ქართველებთან (53%), უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლებთან (25-44: 52% და 45-64: 30%), ქალ რესპონდენტებთან (51%) და სხვა დასახლებებში მაცხოვრებლებთან.

„საზოგადოებრივ ტრანსპორტზე თანხის დაზოგვა“ უფრო ხშირად დაასახელეს კაცებმა (53%) და ეთნიკურმა უმცირესობებმა (52%), ვიდრე ქალებმა (40%) და ეთნიკურმა ქართველებმა (44%); ფულის დაზოგვა მეტ-ნაკლებად თანაბრად იყო მნიშვნელოვანი ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის; დედაქალაქის მაცხოვრებლებმა ფულის დაზოგვა უფრო იშვიათად (37%) დაასახელეს.

სურათი 60:

დისტანციურად სწავლის ტოპ სამი უპირატესობა სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



ჯამში, მათ შორის, ვინც ონლაინ სწავლებაში მონაწილეობდა, 60% კმაყოფილია მისი ხარისხით. უფრო მეტად კმაყოფილნი არიან მაღალი ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლები, სოფლის მაცხოვრებლები, ქალები და ეთნიკური ქართველები. მათ, ვინც არაფორმალური განათლების პროცესებშია ჩართული, მეტი კმაყოფილება გამოხატეს დისტანციური სწავლებით, ვიდრე მათ, ვინც ფორმალური განათლების პროცესებში მონაწილეობს.

სურათი 61:

დისტანციური სწავლის უპირატესობები



როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვაჩვენებს, პანდემიის დროს საქართველოში დაახლოებით ცხრა ადამიანიდან ერთი მონაწილეობდა ონლაინ სწავლების რაიმე ფორმაში. დისტანციურად უფრო ხშირად ისინი სწავლობენ, ვინც ფორმალური განათლების პროცესშია ჩართული, ვიდრე ისინი, ვინც არაფორმალური განათლების მიღებითაა დაკავებული. დისტანციურად სწავლის მთავარ ნაკლად მონაწილეებმა პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობის სირთულე და ინსტრუქტორთან ინტერაქცია დაასახელეს, მთავარ უპირატესობად კი დროისა და ფულის დაზოგვა აღინიშნა. საერთო ჯამში, დისტანციური სწავლების მონაწილენი პროცესით კმაყოფილნი არიან.

დასკვნები

ზემოთ მოყვანილი მონაცემები რამდენიმე დასკვნის საშუალებას იძლევა

როგორც მონაცემები ცხადყოფს, მათ შორის, ვისაც საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე ინფორმაციის მოძიება სურდა, უმეტესობამ ამის გაკეთება შეძლო. ინფორმაციას ადამიანები მეტწილად ონლაინ ეძებენ. მათ შორის, ვინც ეძებდა ინფორმაციას, უმეტესობამ იპოვნა ის, რასაც ეძებდა. ინფორმაციას ნაკლებად ეძებდნენ დედაქალაქის გარეთ მცხოვრებნი, უფრო ასაკიანი მოსახლეობა, კაცები, ეთნიკური უმცირესობები და ისინი, ვინც მუშაობს ან დაუსაქმებელია, თუმცა არაა სამუშაო ძალის მიღმა.

ეს დასკვნა ცხადყოფს, რომ ზრდასრულთა განათლების საპრომოციო აქტივობები, დიდი ალბათობით, წარმატებით შეიძლება განხორციელდეს ონლაინ, რადგან ეს ის სივრცეა, სადაც ადამიანები უკვე ეძებენ განათლების შესახებ ინფორმაციას. მონაცემები იმასაც გვაჩვენებს, რომ ინფორმაციაზე წვდომა ნაკლებად პრობლემურია; უფრო დიდი გამოწვევაა ინფორმაციაზე მოთხოვნა, რადგან, საშუალოდ, ექვსიდან მხოლოდ ერთი ადამიანი ეძებს ინფორმაციას განათლების შესაძლებლობებზე. ამ მიგნებებზე დაყრდნობით რეკომენდებულია:

- ზრდასრულთა განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს ონლაინ სივრცეში;
- მეტი ძალისხმევა ჩაიდოს ზრდასრულთა განათლებაზე მოთხოვნის ზრდაში, ვიდრე ინფორმაციაზე წვდომის გამარტივებაში.

საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში ყველაზე ხშირი საგანმანათლებლო აქტივობა ინფორმალური განათლებაა (46%), შემდეგ არაფორმალური (13%) და ბოლოს ფორმალური განათლება (7%). ეს არაა გასაკვირი, რადგან ინფორმალური განათლება მრავალი სხვადასხვა ფორმით მიიღება – მაგალითად, ინფორმაციის მოსმენა ან ღირსშესანიშნაობათა ტურზე გასეირნება.

ფორმალური განათლების პროცესებში მცირე რაოდენობის რესპონდენტები მონაწილეობდნენ და ისინი უფრო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ. ადამიანები არ ერთვებოდნენ ფორმალური განათლების პროცესებში, რადგან აღნიშნავდნენ, რომ, ზოგადად, არ სჭირდებათ ფორმალური განათლება პირადი ან პროფესიული მიზნებისთვის; მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა კი ისაა, რომ ბევრისთვის ოჯახური ვალებულებები განათლების პროცესში ჩართვის ბარიერი ხდება.

ფორმალურ განათლებასთან შედარებით, გამოკითხულთა შედარებით დიდი, მაგრამ საერთო ჯამში, მაინც მცირე ნაწილი, არაფორმალურ განათლებას იღებდა, როგორიცაა, მაგალითად, სამუშაო პროცესში წვრთნა. ამ ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ხშირად მაღალკვალიფიციურ „თეთრსაყელოიან“ პოზიციებზე იყვნენ დასაქმებული. ამის გათვალისწინებით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაფორმალური განათლების აქტივობების უმეტესი ნაწილი სამუშაოსთანაა დაკავშირებული და ადამიანები მათში პროფესიული მიზნებით მონაწილეობდნენ. მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ ერთვებოდნენ ისინი არაფორმალური განათლების აქტივობებში, იყო პროფესიული ან პირადი საჭიროების არქონა. რაც შეეხება ფორმალურ განათლებას, ამგვარ აქტივობებში ჩართვის მთავარ ბარიერად ოჯახური პასუხისმგებლობები დასახელდა.

ბოლო ერთი წლის მანძილზე მოსახლეობის თითქმის ნახევარი მონაწილეობდა ინფორმალური განათლების პროცესებში. ესენი, ძირითადად, ახალგაზრდები და თბილისის მაცხოვრებლები იყვნენ. ინფორმალური განათლება უმეტესად კომპიუტერის ან ოჯახის წევრების საშუალებით სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის მოხმარებაში მდგომარეობდა.

ინფორმალური განათლების შედარებითი პოპულარობა შეიძლება, საქართველოში ზრდასრულთა

განათლების სფეროს გაფართოების შესაძლებლობად გამოვიყენოთ. ადამიანები ონლაინ ეძებენ ინფორმაციას განათლების შესაძლებლობებზე. ეს ორი ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ონლაინ საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზება შეიძლება, შედარებით მარტივ, პირდაპირ გზად იქცეს ზრდასრულთა განათლებაში ჩართულობის გასაზრდელად. ამიტომ, რეკომენდებულია:

- ზრდასრულთა განათლების წამახალისებელი ღონისძიებები ონლაინ განათლების შეთავაზებაზე ფოკუსირდეს.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ინფორმალური განათლება სასწავლო აქტივობის ყველაზე ხშირი ფორმაა, ადამიანებს, როგორც წესი, ფორმალური განათლების უფრო სწამთ. ამიტომ, ინფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობების შეთავაზებამ შეიძლება, მეტი ინტერესი გამოიწვიოს, ზოგადად, უფრო ზრდასრულ მოსახლეობაში. ამ აღმოჩენებზე დაყრდნობით კი რეკომენდებულია:

- ზრდასრულთა განათლების განვითარებაზე მიმართულმა ღონისძიებებმა მომხმარებლებს ფორმალური განათლების მიღწევისთვის დამახასიათებელი რაიმე მინიმალური „სატყუარა" მაინც უნდა შესთავაზოს – როგორიცაა, მაგალითად, სერტიფიკატები.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვაჩვენებს, რომ ზრდასრულთა განათლების პროცესებში ყველაზე ხშირად ახალგაზრდები მონაწილეობენ. ამავდროულად, ზრდასრულთა განათლების მიმართ ადამიანების დამოკიდებულებები ნაკლებად უწყობს ხელს ხანდაზმულ მოსახლეობაში ზრდასრულთა განათლების წახალისებას. უმეტესობას მიაჩნია, რომ ახალი უნარების შეძენა უფრო მარტივია ახალგაზრდებისთვის; რომ 30 წელს გადაცილებულები ნაკლებად არიან დაინტერესებული განათლების მიღებით; და რომ 30 წელს ქვემოთ ასაკის ადამიანებს მეტი დრო აქვთ განათლების მისაღებად. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი მიიჩნევს, რომ 30 წელს ზემოთ სწავლა გამოწვევაა და რთულია.

ამ მონაცემებს საქართველოში ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის სტრატეგიულ შეკითხვასთან მივყავართ, კერძოდ: ზრდასრულთა განათლების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები კონცენტრირდეს მათზე, ვინც მეტი ალბათობით გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, თუ მოხდეს პოტენციურად დაინტერესებული სეგმენტის გაფართოება?

თუ სტრატეგიული პრიორიტეტი ზრდასრულთა განათლების პროცესების, რაც შეიძლება, სწრაფად განვითარებაა, მაშინ ახალგაზრდებზე ფოკუსირება, დიდი ალბათობით, ყველაზე პროდუქტიული იქნებოდა. თუმცა, თუ მიზანი ზრდასრულთა განათლებით დაინტერესებული ადამიანების წრის გაზრდაა, სასურველია შუა ხნის მოსახლეობასთან მუშაობა.

მონაცემები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობაში ზრდასრულთა განათლება პროფესიულ განათლებასთან ასოცირდება. უმეტესობა ფიქრობს, რომ ზრდასრულთა განათლება მათთვისაა სასარგებლო, ვინც ხელობითაა დაკავებული. ამავდროულად, ადამიანებს არ მიაჩნიათ, რომ ზრდასრულთა განათლება მხოლოდ მდიდრებისთვის ან კარგი სანაცნობო წრის მქონეთათვის არის ხელმისაწვდომი. ეს მიგნება წინა დასკვნას უკავშირდება, რადგან ზრდასრულთა განათლება უფრო მეტად სახელობო პროფესიებთან ასოცირდება.

რაც შეეხება პასუხისმგებლობას ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების განვითარებაზე, მოსახლეობა საკმაოდ ერთიანია იმ აზრში, რომ აქ წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. მცირე ნაწილს, ასევე, მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობის წილი დამსაქმებელმაც უნდა აიღოს.

პანდემიამ როგორც საქართველოში, ასევე, გლობალურად გაზარდა დისტანციური სწავლების საჭიროება. ამ თვალსაზრისით, 18-64 წლის გამოკითხული მოსახლეობიდან დისტანციური სწავლების აქტივობებში ბოლო ერთი წლის მანძილზე ცხრიდან ერთი ადამიანი მონაწილეობდა. ამ აქტივობების უმეტესობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და პანდემიამდე პირისპირ ფორმით იყო დაგეგმილი. დისტანციურად სწავლის მთავარ უპირატესობად მონაწილეებმა დროისა და ხარჯის დაზოგვა დაასახელეს, ხოლო მთავარ ნაკლად – ინსტრუქტორთან ურთიერთობის სირთულე და პრაქტიკული აქტივობების განხორციელების შეუძლებლობა.